# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 7 ოქტომბერი, 2010 წელი.

№187 (6553)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## რით გაგაოცეთ ქართველმა ჟურნალისტებმა ამერიკელო კოლეგა ⑤

ვიქტორ ეშის ვიზიტი თბილისში

# სამშობლო და ჭეშმარიტება

„მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემით“ (იოანე 14:6). ჩვენი პატრიოტები კი დარწმუნებული არიან, რომ მამასთან თუ ვერა, სამშობლოსთან უთუოდ მივლენ, უგზოდ და უჭეშმარიტებოდ. თუმცა უკვე ხომ მივიდნენ... იქ, საიდანაც გამოსავალი აღარ არის!



③-④



②

## ფიზიკის სახელმძღვანელოში ჩაიხედეთ, ბატონო რასმუსენ!



## მიგვიღებენ ⑤ ნატოში?

## ⑧ საქართველოს პატრიარქი უცხოეთში ბავშვების სწავლების წინააღმდეგია

## აფხაზეთთან დასაკავშირებლად, შესაძლოა, ② ტრანსკავკასიური გვირაბი გაიჭრას



## ნიკა რურუას ② უზრდელობასა და უპასუხისმგებლობაში ადანაშაულებენ

## მშიერი ზამთრის ⑥ მოახლოების განცდა

დღის კარიკატურა







## ქართულ ავიაკომპანიებს საფასო ⑥ პოლიტიკის კორექტირება მოუწევთ

**თავისუფალი ტრიბუნა**

# დახურეთ კარი!

## ანუ ფიზიკის სახელმძღვანელოში ჩაიხედეთ, ბატონო რასმუსენ!

ანდერს ფოგ რასმუსენი იმ კაცის სახელია, ვინც რაკი ალიანსის გენერალური მდივანია, საქართველოს ხელისუფლებას ნატოს უფროსი ჰგონია. არადა, ეს ასე არ არის. ნატოს უფროსები ნატოს წევრი სახელმწიფოების მეთაურები არიან, რასმუსენი მხოლოდ კოორდინაციას უწევს და აღასრულებს იმას, რასაც მას ნატოს წევრი ქვეყნების მეთაურები ერთობლივად დაავალებენ. ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება კი ალიანსში ძალიან ჭირს, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს და განსაკუთრებით ახალი წევრების მიღებასთან დაკავშირებით. რამდენიც არ უნდა ატყუოს საქართველოს ხელისუფლებამ მოსახლეობა და რამდენჯერაც არ უნდა ჩამოვიდეს გმირები არიან, რომლებმაც ვერც გაიგეს, რას შეეწირნენ, რა „დიად მიზანს" ანაცვალეს თავიანთი სიცოცხლე, რომელიც თუკი მაინცდამაინც რაღაცის სამსხვერპლოზე უნდა მიეტანათ, ეს, პირველ რიგში, მათი სამშობლო უნდა ყოფილიყო.

რასმუსენი ბრძანებს, ნატო ცდილობს რუსეთთან კარგი ურთიერთობები დაამყაროს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი მას დროდადრო შეახსენოსო.

კი მაგრამ, თქვე მამაცხონებულებო, ამხელა ნატო ხართ და რუსეთს შეხსენების მეტს ვერაფერს უბედავთ და ჩვენ, მცირერიცხოვან ქართველებს მათთან საომრად გვაქეზებთ, არ გრცხვენიათ?!

ერთი რამ უნდა იცოდეთ, ვიდრე თქვენ მაგ თქვენი ღია კარის შესახებ ჩვენთან დამამცირებელ ლაპარაკს არ მოიშლით, რუსეთთან მუდმივი დაპირისპირების რეჟიმში გვამყოფებთ და სრული განადგურების საფრთხეს გვიქმნით.

— რუსეთთან ურთიერთობა თქვენ თვითონ უნდა დაალაგოთო, გესმით ხალხო?! რუსეთთან ურთიერთობა ჩვენ თუ დავალაგეთ, მადლობა ნატოს რატომ ვუთხრათ?! დავალაგებთ, როგორ არ დავალაგებთ, ოღონდ თქვენ მოგვეშვით თქვენი დაპირებებით და რუსეთთან ურთიერთობას ელვის სისწრაფით დავალაგებთ, ვინაიდან რუსეთთან ჩვენი ხელისუფლების თქვენკენ სწრაფვამ დაგვაპირისპირა, თორემ ამ ქვეყანასთან გასაყოფი არაფერი გვაქვს.

მთელი ჩვენი უბედურების სათავე სწორედ ნატოს ე.წ. აღმოსავლეთით გაფართოების გეგმასა და აშშ-ის მიერ ჩვენთვის თავსმოხვეულ რუსეთთან დაპირისპირების პოლიტიკაშია.

საქართველო ისწრაფვის სრული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისკენ, რასაც ერთი ჯადოსნური სიტყვა განაპირობებს — ნეიტრალიტეტი. დღეს ამ იდეას საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა იზიარებს. ამ იდეის გამტარებელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები უკვე არსებობენ პარტია „ნეიტრალური საქართველოსა" და „საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის" სახით.

თქვენ, როგორც ჩანს, არც რუსეთი გყავთ ბოლომდე შესწავლილი და არც — საქართველო.



ანდერს ფოგ რასმუსენი საქართველოში, საქართველო ნატოს წევრი ვერ გახდება. ახლო მომავალში კი არა, ძალიან შორეულ პერსპექტივაშიც ვერ გახდება. უმალ თვითონ ე.წ. ნატო დაიშლება, ვიდრე საქართველო მისი წევრი გახდება, ვინაიდან ასეთია დღევანდელ მსოფლიოში ძალთა ბალანსი, ასეთია რუსეთის ფაქტორი და ასეთია ამ ფაქტორის გავლენა არა მარტო ევროპაზე, არამედ აშშ-ზეც.

რასმუსენის ვიზიტმა მხოლოდ ერთი რამე დაგვანახა ერთმნიშვნელოვნად. ამ ორგანიზაციას რუსეთის წინააღმდეგ რამე ქმედითი ღონისძიების გატარების არც სურვილი აქვს და არც შესაძლებლობა. ქართველებს ოდნავი თავმოყვარეობა რომ გვქონდეს შერჩენილი, იმ სატყუარა ფრაზაზე, რომელსაც წამდაუწუმ გვაფარებენ სახეზე, ნატოს კარი თქვენთვის ღიააო, უმწვავესი რეაქცია უნდა გვქონდეს, რადგან დამამცირებელია, როდესაც გეუბნებიან კარი ღიააო, მაგრამ არ გეუბნებიან, შემობრძანდითო. დიდხანს ნუ დატოვებთ, ბატონებო, კარს ღიად, თორემ შესაძლებელია ფილტვების ანთება დაგემართოთ!

რასმუსენის თბილისში ჩამოსვლას დაემთხვა ავღანეთში ოთხი ქართველი ჯარისკაცის დაღუპვა, რის გამოც ფორმალური წუხილის გამოთქმა ძალიან გამაღიზიანებელი იყო. რას ეწირებიან ქართველი ახალგაზრდები ავღანეთში? ამერიკელთა გეოპოლიტიკური ავანტიურის უგუნურ გამოვლენას რატომ უნდა ეწირებოდნენ ქართველი ჯარისკაცები?! როდესაც მათზე ამბობენ, გმირები არიანო, თითქოს გასაგებია, მაგრამ ისინი ხომ ის

რე თქვენ მაგ თქვენი ღია კარის შესახებ ჩვენთან დამამცირებელ ლაპარაკს არ მოიშლით, რუსეთთან მუდმივი დაპირისპირების რეჟიმში გვამყოფებთ და სრული განადგურების საფრთხეს გვიქმნით.

თქვენ რომ ვინმეს დაცვის თავი გქონოდათ, თქვენი წყალობით პროვოცირებულ აგვისტოს ომში დაგვეხმარებოდით, და დაგვიცავდით, მაგრამ თქვენგან ისეთივე ცალყბად ნათქვამი შეშფოთება-აღშფოთების გარდა არაფერი გაგვიგია, როგორი ცალყბაც ავღანეთის უაზრო ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების ოჯახებისთვის თქვენს მიერ გამოცხადებული სამძიმარი იყო.

თქვენ უნდა გააცნობიეროთ, რომ თამაში, რომელსაც თქვენ ჯერ კიდევ აგრძელებთ, რეალურად ათი წლის წინათ დამთავრდა. თქვენ ახლა მხოლოდ ინერციით მოძრაობთ. ჩაიხედეთ ფიზიკის სახელმძღვანელოში და იქ ნახავთ, რომ ინერციას გარკვეული პარამეტრები აქვს, რომლის იქითაც იგი ველარ მოქმედებს!

**ვალერი კვარაცხელია**

**ექებენ გზას ზღვისკენ**

# აფხაზეთთან დასაკავშირებლად, შესაძლოა, ტრანსკავკასიური გვირაბი გაიჭრას

**მიმდინარე წლის ბოლოსთვის, კერძოდ, დეკემბერში რუსეთის ხელისუფლებას ჩრდილოეთ კავკასიისა და აფხაზეთის დამაკავშირებელი გზის მარშრუტთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მოუწევს.**

საინფორმაციო პორტალ www.kavkaz-news.info-s ინფორმაციით, უახლოეს მომავალში აღნიშნული გზის მშენებლობის ტექნიკური მხარის შესწავლა დაიწყება და არ არის გამორიცხული, ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის აფხაზეთთან დასაკავშირებლად თავის დროზე ჩრდილოეთ ოსეთსა და ცხინვალს შორის გაყვანილის ანალოგიური ტრანსკავკასიური გვირაბი გაიჭრას.

აღსანიშნავია, რომ 2007 წლის თებერვალში კრასნოდარში გამართულ პირველ ეკონომიკურ ფორუმზე რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა დადებითი შეფასება მისცა არხიზი-კრასნაია პოლიანას ტრასის მშენებლობის პროექტს, რომელიც ყარაჩაი-ჩერქეზეთმა წარმოადგინა.

მაშინ შეუმჩნეველი დარჩა ის დეტალი, რომ ტრასა კავკასიური ბიოსფერული ნაკრძალის ტერიტორიაზე გადის, რომელიც UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ განსაკუთრებულად დაცული ტერიტორიების ნუსხაშია შეტანილი.

მოგვიანებით, 2010 წლის 6 ივლისს რუსეთის პრემიერმა ვლადიმირ პუტინმა რუსეთის მმართველი პარტიის — „ედინაია როსიას" სტავროპოლის მხარეში გამართულ რეგიონთაშორის კონფერენციაზე („Развитие Кавказа 2010-2012"ძ სხვა პროექტს დაუჭირა მხარი. ამჯერად საუბარი ჩერკესსკ-სოხუმის ტრასას შეეხებოდა, რომელიც წებელდას ნაკრძალის ტერიტორიაზე გაივლის. თუმცა მიმდინარე წლის ივლისში UNESCO-ს კონფერენციამ მოუწოდა რუსეთს, ეს ტერიტორიაც „დასავლეთ კავკასიის" განსაკუთრებულად დაცული ნაკრძალის ზონაში შეიყვანოს.

წარმოიშვა დილემა, რა მარშრუტით გაიკვეთოს გზა ზღვისკენ.

აღსანიშნავია, რომ ზღვისკენ ტრანზიტის განხორციელებაზე პრეტენზიებს ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის სხვა რესპუბლიკებიც აცხადებენ. არსებული ინფორმაციით, ყარაჩაი-ჩერქეზეთს, ადიღესა და კრასნოდარის მხარეს საკუთარი პროექტები აქვთ და მათ შორის მკაცრი კონკურენცია ჩამოყალიბდა, რომლის პროცესშიც მხარეები შესაძლო ეკოლოგიურ შედეგებს ყურადღებას არ აქცევენ.

ადგილობრივი ეკოლოგები ნაკრძალების გავლით ტრასების მშენებლობას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. მათ UNESCO-ს უკვე არაერთხელ მიმართეს და მომავალშიც აპირებენ ამას.

ეკოლოგებისთვის ერთადერთ მისაღებ პროექტს ზღვისკენ უკვე არსებული საგრუნტო გზის რეკონსტრუქცია წარმოადგენს, რომელიც შაუმიანის უღელტეხილზე გაივლის.

**„ალტერნატივა"**

# ან ოსური პასპორტები, ან უსახლკარობა

**ახალგორის ოკუპირებულ რაიონში ავტომობილის მძღოლებს, რომელთაც რუსული ან ე.წ. სამხრეთ ოსური სანომრე ნიშნები არ აქვთ, აჯარიმებენ.**

**როგორც ახალგორის ერთ-ერთი მოსახლე იტყობინება, რუსმა ოკუპანტებმა ე.წ. საზღვარზე 315 რუბლით მხოლოდ იმიტომ დააჯარიმეს, რომ ავტომანქანას ქართული სანომრე ნიშნები ჰქონდა.**

მისივე თქმით, ოქტომბრის შუა რიცხვებიდან ოკუპირებულ რაიონში ე.წ. ოსური პასპორტების დარიგებას დაიწყებენ და ვინც მის აღებაზე უარს იტყვის, იგი რაიონში „უცხო ქვეყნის მოქალაქედ" ჩაითვლება და ახალგორში ყოველ შესვლაზე ოფიციალურ გადასახადს — 20 ლარის ეკვივალენტს — რუსულ რუბლებში გადაიხდის.

ამასთან, ვისაც ე.წ. ოსური პასპორტი არ ექნება, მათ საჯარო სამსახურში მუშაობა ეკრძალებათ.

ახალგორელების განცხადებით, სეპარატისტები ასევე იმუქრებიან, რომ ე.წ. ოსური პასპორტის აღებაზე უარის თქმის შემთხვევაში უძრავ ქონებას ჩამოართმევენ.

— არ ვიცით, რა უნდა ვქნათ. ოსური პასპორტების აღება არ გვინდა, მაგრამ მაშინ ჩვენი სახლები უნდა დავცალოთ და ასეთ შემთხვევაში ოკუპანტები და სეპარატისტები უკვე თავისუფლად შეძლებენ, ვინც ენდომებათ, იმათ მიჰყიდონ ჩვენი სახლები, როგორც ეს აფხაზეთში ქნეს, — აცხადებენ ახალგორელები.

წინასწარი ინფორმაციით, ე.წ. ოსური პასპორტების გაცემა 15 ოქტომბრიდან დაიწყება.

ჯი-ეიჩ-ენი

**ინფორმაცია**

# ნიკა რურუას უზრდელობასა და უპასუხისმგებლობაში ადანაშაულებენ



**ნიუ-იორკის** ფილარმონიის ორკესტრის პრეზიდენტი და აღმასრულებელი დირექტორი ზარინ მეტა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და უშუალოდ მინისტრ ნიკა რურუას უპასუხისმგებლობასა და უზრდელობაში ადანაშაულებს. რადიო „თავისუფლებისათვის" მიცემულ ინტერვიუში ზარინ მეტა აღნიშნავს, რომ ქართული მხარის მიერ ნიუ-იორკის ფილარმონიის ორკესტრის საქართველოში გასტროლების დაბლოკვით, ფილარმონიის ორკესტრმა 500 ათასი დოლარი იზარალა.

ზარინ მეტას განმარტებით, 10 სექტემბრამდე ექვსი კვირის მანძილზე ორკესტრის ხელმძღვანელობა ცდილობდა დაკავშირებოდა კულტურის სამინისტროს მაღალი რანგის წარმომადგენლებს, თუმცა უშედეგოდ.

— არავინ პასუხობდა ჩვენ სატელეფონო ზარებს გარდა ხალხისა, ვინც ადგილზე ბათუმში სცენაზე ფიზიკურად მუშაობდა. სამინისტროდან არავინ გველაპარაკებოდა — ელემენტარული თავაზიანობა არ ეყოთ, ჩვენს სატელეფონო ზარებსა და წერილებზე ეპასუხათ. ესეც ძალიან გულდასაწყვეტია — წმინდა წყლის უზრდელობაა მინისტრისა და სამინისტროს მხრიდან, — განაცხადა ზარინ მეტამ.

მისივე განცხადებით, ქართულმა მხარემ კონცერტი თანხების არქონის გამო ჩაშალა, თუმცა ამის შესახებ ნიუ-იორკის ფილარმონიის ორკესტრის ხელმძღვანელობისთვის არაფერი უთქვამს,

— არ ვიცოდით, რომ დაფინანსების პრობლემა ჰქონდათ. მათ ადრე მოგვწერეს, რომ გადაიხდიდნენ ჰონორარს, გადაიხდიდნენ სასტუმროს ფულს, მგზავრობის ფულს ორივე მიმართულებით. ეს მოგვწერეს აპრილსა თუ მაისში. მაქვს ელექტრონული წერილები, — აღნიშნა მეტამ და დასძინა, რომ მათ ჩარტერული რეისების ხარჯის შესახებ მთავრობისათვის არ უთქვამთ, რადგან ეს თანხები მოგვიანებით ირკვევა ხოლმე.

იგი იმასაც აღნიშნავს, რომ მხარეებს შორის კონტრაქტი გაფორმებული არ ყოფილა. კითხვაზე აპირებს თუ არა სასამართლოში ჩივილს, მეტა აცხადებს, რომ ამ საკითხის სერიოზულად განხილვას არ აპირებს, თუმცა იურიდიულ კონსულტანტებს აუცილებლად დაელაპარაკება.

ჯი-ეიჩ-ენი

ხედვა შორიდან

# სამშობლო და ჭეშმარიტება

1.

ფილოსოფოს მერაბ მამარდაშვილის გამონათქვამმა – **„ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას“** – გაუგებრობა გამოიწვია არა მარტო „ეროვნული მოძრაობის“ ლიდერებში, არამედ პატრიოტ ქართველ ინტელიგენციაშიც, რომ აღარაფერი ვთქვათ რიგით პატრიოტებზე: **„პატრიოტიზმზე მაღალი დონე არ არსებობს. თუმცა მამარდაშვილს აქვს „აფორიზმი“ - ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლააო. ეს სისულელეა, რადგან ჭეშმარიტება და სამშობლო არათანაზომიერი ღირებულებებია“** (ნოდარ ნათაძე; **„ძალიან დიდ პატივს ვცემდი მერაბ მამარდაშვილს, ჭკვიანი და ინტელექტუალური კაცი იყო, მაგრამ მან დაუშვა უდიდესი შეცდომა, როცა თქვა, რომ ჭეშმარიტება სამშობლოზე უფრო მაღლა დგას. ეს შეცდომა განპირობებული იყო იმით, რომ ეს ჭკვიანი კაცი, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს ეროვნული და პიროვნული ღირებულებების სასარგებლოდ ბევრ რამეს აკეთებდა, ეროვნული ძალების მოძრაობამ არ მიიღო და გაბრაზებულმა ისეთი გამოთქმები იკადრა, რაც მას არ ეკადრებოდა. თავდაპირველად მან თქვა, რომ ჭეშმარიტებას უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე ეროვნებას. ეს მისი საქმეა, მაგრამ დებულებად თქმა იმისა, რომ ჭეშმარიტება უფრო მაღლა დგას, ვიდრე სამშობლო და ერი, ეს უკვე სხვაა“** (შოთა ნადირაშვილი); „– რომელი დგას უფრო მაღლა, სამშობლო თუ ჭეშმარიტება? – იკითხა ფილოსოფოსმა და იქვე უპასუხა,- ჭეშმარიტებაო. მცდარი მგონია ეს მოსაზრება, რამეთუ სამშობლოა თავად ჭეშმარიტება და, ამდენად, სამშობლოზე მაღლა ჭეშმარიტება დგასო, როცა ამბობ, ეს იგივეა, ჭეშმარიტებაზე მაღლა ჭეშმარიტება დგასო, რომ თქვა. – „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა...“ (ვახტანგ ხარჩილავაძე...

დავუშვათ, „ეროვნული მოძრაობის“ ლიდერები დასავლეთის ანტისაბჭოთა ძალებისა და მათთან შეთქმული კრემლის „თვითლიკვიდირებული“ პარტოკრატების გეგმებს ასრულებდნენ და ხალხისათვის თავგზის არევაში ხელს უშლიდათ ჭეშმარიტება და სალი აზრი და იმიტომ ებრძოდნენ ასე გაშმაგებით არა მარტო მერაბ მამარდაშვილს, არამედ მთელ ქართველ ინტელიგენციას, მაგრამ ქართველ ინტელიგენციას რაღა ამოძრავებდა, ჭეშმარიტების ქადაგებისათვის ბრძოლა გამოეცხადებინა თავისი საუკეთესო წარმომადგენლისათვის?! ყველა-ყველა, მაგრამ რა ამოძრავებს მას დღევანდელი გადმოსახედიდან მაინც, როცა სიცრუემ და ორპირობამ ამდენი უბედურება მოუტანა ქვეყანას?!

ორიოდე სიტყვა ბატონი ვახტანგის მიერ დამოწმებული ვაჟა-ფშაველას სტროფის გამო. ვაჟა არ გულისხმობს, რომ სამშობლო უფლის თანაბარია, არამედ – რომ სამშობლოც უფალივით ერთია, რაც ერთი და იგივე არ არის. ვაჟა რომ დღევანდელი „პატრიოტებივით“ პრიმიტიული პატრიოტი არ იყო, ამაზე პატრიოტიზმის მისეული განმარტებაც მეტყველებს: **„ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე,- რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას“** („კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“). პატრიოტიზმის ასეთი გაგება არსებითად განსხვავდება საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი ცრუპატრიოტიზმისაგან, მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გარედან რომ შემოგვიგდეს, ქვეყნის დასაშლელად და გასაპარტახებლად.

ვისთვის რა რაზე მაღლა დგას, არ ვიცი, მაგრამ ინტელექტუალისთვის ჭეშმარიტებაზე მაღლა არაფერი დგას და არც შეიძლება იდგეს, რადგან უამისოდ აზრს ჰკარგავს ინტელექტიც და ინტელექტუალობაც. ჭეშმარიტების რაინდის მიერ ჭეშმარიტებაზე უარის თქმა საკუთარ ტიტულზე ნებაყოფლობით უარის თქმას ნიშნავს. **ის, ვინც ჭეშმარიტებაზე მაღლა სხვა რამეს აყენებს, ყველაფერია, გარდა ინტელექტუალისა. ყველა ის არის, რასაც მაღლა აყენებს. ვინც სამშობლოზე მაღლა ჭეშმარიტებას აყენებს, ინტელექტუალია და შეიძლება პატრიოტიც იყოს, თუ ჭეშმარიტება თვითმიზნად არ გაიხადა; ის კი, ვინც სამშობლოს ჭეშმარიტებაზე „მაღლა“ დაყენებით „პატრიოტობს“, „უხორთუმო სპილოს“ (ილია) ემსგავსება, რადგან სამშობლოს „ხორთუმი“ ჭეშმარიტებაა!**

არისტოტელე, მაგალითად, ჭეშმარიტებას მეგობარზე მაღლა აყენებდა: **„პლატონი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია“**. „მეგობარი“ აქ ყოველივე იმას მოიცავს, რაც ახლობელი და ძვირფასია ადამიანისათვის, მაგრამ იმისათვის, რომ თვალდახუჭული კლდეზე არ გადაიჩეხო და, შენთან ერთად, შენი მეგობარი და ახლობელიც არ გადაიყოლო, საჭიროა, თვალები გაახილო!

ჭეშმარიტება თვითმიზანი არ არის, იგი მიზნის მიღწევის საშუალებაა, ოღონდ, აუცილებელი საშუალება. ჭეშმარიტება ობიექტური რეალობის აღქმას გულისხმობს, მაგრამ ამას ყოველთვის სუბიექტური საფუძვლი უდევს, რადგან მოაზროვნე ინტელექტი სუბიექტია, ადამიანია. ამგვარად, ობიექტურობა სუბიექტურობის სამსახურში დგას. ინტელექტის აზროვნება, ჭეშმარიტების დასადგენად დროებით საკუთარი გრძნობების მოთოკვას რომ მოითხოვს, საბოლოო ჯამში, ამავე გრძნობების დაკმაყოფილებას ემსახურება. ჰეგელის გამოთქმით, „შეუძლებელია სხვისთვის აზროვნება, როგორც შეუძლებელია სხვისთვის ჭამა-სმა“. აზროვნება იგივეა ინტელექტუალისათვის, რაც მხედველობა ცხოველისათვის. გარემოს დანახვა ცხოველს ცხოველობას კი არ აკარგვინებს, არამედ, პირიქით, გარემოში ორიენტირებას უადვილებს, რომ თავისი ცხოველობა უკეთ შეინარჩუნოს. ჩვენს ვაი-პატრიოტებს კი ეშინიათ, რომ ჭეშმარიტებისა და ობიექტურობის დევნაში ცხოველობა არ დაკარგონ. ნუ გეშინიათ, „პატრიოტებო“, ცხოველობა ყველა ვარიანტში გარანტირებული გაქვთ!

ქრისტიანობაც ისევე, როგორც აზროვნება და ინტელექტუალობა წარმოუდგენელია უჭეშმარიტებოდ, ჭეშმარიტებაზე ღაღადებს მთელი „ახალი აღთქმა“, მაგრამ ქრისტეს გაგებით იგი ოდენ გზა და საშუალებაა, „გზაა მამასთან მისასვლელად“: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემით“ (იოანე 14:6). ჩვენი პატრიოტები კი დარწმუნებული არიან, რომ, მამასთან თუ ვერა, სამშობლოსთან უთუოდ მივლენ, უგზოდ და უჭეშმარიტებოდ. თუმცა უკვე ხომ მივიდნენ... იქ, საიდანაც გამოსავალი აღარ არსებობს! მაგრამ მოშლილი გრამფირფიტასავით, კვლავ ოცი წლის წინანდელ ჰანგებს ატრიალებენ!

როდესაც პილატემ განსასჯელად მიყვანილ იესოს ჰკითხა, რა ჩაიდინეო, მან უპასუხა: „მე იმიტომ დავიბადე და იმიტომ მოვედი წუთისოფელში, რომ ჭეშმარიტება დამემოწმებინა“ (იოანე 18:37)... პილატეს გაუკვირდა: „რა არის ჭეშმარიტება?“ ეს რომ თქვა, კვლავ გამოვიდა იუდეველებთან და უთხრა მათ: „ვერავითარ დანაშაულს ვერ ვპოულობ მასში“ (იოანე 18:38)... ...„როდესაც იხილეს იგი მღვდელმთავრებმა და მსახურებმა, იყვირეს: „ჯვარს აცვი! ჯვარს აცვი!“ (19:6). და ჩვენი ინტელექტუალებიც, უნებლიეთ, პილატეს რა უშავს, იუდეველების მდგომარეობაში იგდებენ თავს, „სამშობლოს ღალატს“ რომ უკიჟინებენ ჭეშმარიტების მაცნეს („მაცნე მოიდა შატილსა...“). მერაბ მამარდაშვილსაც, პავლე მოციქულივით, შეეძლო ეთქვა მათთვის: „მაშ, ნუთუ თქვენი მტერი გავხდი, ჭეშმარიტებას რომ გელაპარაკები?“ (გალატელთა 4:16).



ილია ჭავჭავაძე ჭეშმარიტებას, სამშობლოზე მაღლა არა, მაგრამ **წინ** აყენებდა: **„დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება: ისე აღზარდე შენ შვილის სული, რომ წინ წარუძღვეს ჭეშმარიტება, უკან ჰრჩეს კვალი განათლებული“**. ჰოდა, იქნებ სჯობდა, ბ-ნ მერაბსაც ჭეშმარიტება სამშობლოზე წინ დაეყენებინა და არა მაღლა, ეგებ ასეთი ბრალდებები აღარ გამოეწვია.

უჭეშმარიტებოდ არაფერი არ არსებობს. რაც არსებობს, ყველაფერი ჭეშმარიტების ძალით არსებობს, რადგან ის, რაც ჭეშმარიტი არ არის, ცრუ და არანამდვილია. ღმერთი რომ ღმერთია, ისიც კი, თუ ჭეშმარიტი არ არის, ღმერთი აღარ არის. ჰეგელის თქმით, „ჭეშმარიტება ღმერთია და ღმერთია მხოლოდ ერთადერთი ჭეშმარიტება“, მაგრამ, მისივე გაგებით, ყველა ღმერთი ღმერთი როდია; ძველი ბერძნების „ღმერთები“, მაგალითად, ჭეშმარიტი ღმერთები არ იყო: „სხვა მხრივ დიდად განათლებულმა ბერძნებმაც არ იცოდნენ არც ღმერთი მის ჭეშმარიტ ზოგადობაში და არც ადამიანი; ბერძნების ღმერთები გონის მხოლოდ განსაკუთრებული ძალები იყვნენ, ხოლო საყოველთაო ღმერთი, ყველა ხალხის ღმერთი, ათენელებისათვის ჯერ კიდევ უცნობი ღმერთი იყო. ამიტომაც არსებობდა ბერძნებისათვის აბსოლუტური უფსკრული მათსა და ბარბაროსებს შორის, და ადამიანი როგორც ასეთი ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული მისი უსასრულო ღირებულებით და მისი უსასრულო გამართლებით“... იგივე ითქმის ძველი ებრაელების „ღმერთზეც“, რომელიც თავისი ერთღმერთობით („ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა...“) ბერძნების ღმერთებს კი აღემატებოდა, მაგრამ ვინაიდან ებრაელები მას მარტოოდენ თავიანთ ღმერთად განიხილავდნენ (გამოსვლათა 3:18), ხოლო თავიანთ თავს – მის „რჩეულ ხალხად“, ეს მათ საშუალებას არ აძლევდა, ჭეშმარიტ ღმერთამდე აემაღლებინათ თავიანთი უფალი. აი, რატომ გახდა საჭირო მათსავე წიაღში ქრისტიანობის წარმოშობა. ქრისტიანებმა, ღმერთის კაცობრიობისათვის გაზიარებით, ჭეშმარიტ ღმერთად აქციეს იგი და თვითონაც კაცობრიობას ეზიარნენ. საერთო ღმერთის გაცნობიერებამ კი ყველა ადამიანის თანასწორობის იდეა შვა და საფუძველი გამოაცალა მონათმფლობელობას. რა თქმა უნდა, მხოლოდ ცნობიერებაში, ყოფიერ თანასწორობამდე ჯერ კიდევ შორს იყო, და დღესაც არის, მაგრამ ცნობიერი თანასწორობაც უკვე ყოფიერი თანასწორობის საწინდარი იყო. ამიტომ ამბობდა ქრისტე: „შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ“ (იოანე 8:32). თუ გინდა ადამიანი გახდე, ჯერ სხვა უნდა ცნო ადამიანად. მონათმფლობელი ისევე ადამიანი არ არის, როგორც მონა.

ხოლო თუ უჭეშმარიტებოდ ღმერთიც ვერ ღმერთობს, სამშობლო როგორღა ისამშობლოებს, უჭეშმარიტებოდ?! ამ გაგებით, ჭეშმარიტება მაღლა დგას ღმერთზეც და სამშობლოზეც. ჭეშმარიტების ეს მაღლა დგომა კი არ აკნინებს ღმერთსა და სამშობლოს, არამედ, პირიქით, ჭეშმარიტების ნათლით მოსავს და ჭეშმარიტს ხდის მათ. მას კი, რაც ვითომ ჭეშმარიტებაზე „მაღლა დგას“, ჭეშმარიტების ნათელი არ ადგას და სიცრუისთვის არის განწირული..

ცრუ სამშობლოს ნიმუშს წარმოადგენს დღევანდელი საქართველო. თუ ოცი წლის წინათ, ქართველი ჯერ კიდევ ამაყად მღეროდა, „არ გავცვლი სალსა კლდეებსა, უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“-ო, დღეს მას „სამშობლოში“ თავისუფლებას სხვა ქვეყნის ციხეში ჯდომა ურჩევნია. სავსეა ევროპის სარეპატრიაციო ციხეები პოლიტიკური თავშესაფრის მიცემაზე უარნათქვამი ქართველებით – ახალგაზრდებით, ხნოვანებით, მცირეწლოვანი ბავშვების პატრონი ქალებითა და კაცებით, რომელთაც ციხის ხელისუფალნი, თავისუფლების სანაცვლოდ, სამშობლოში დაბრუნებას სთავაზობენ, მაგრამ სამშობლოზე შეყვარებული ეს ადამიანები უცხო ქვეყნის ციხეში ჯდომას ამჯობინებენ. ევროპული კანონებით, „აპატრიდის“ (უსამშობლოო ადამიანის) „სამშობლოში“ ძალით დაბრუნება არ შეიძლება. ადრე შეიძლებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბელგიელმა ჟანდარმებმა აფრიკელი გოგონა სემირა ადამუ (ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი! თავისი სიკვდილით დიდი საქმე გაუკეთა უსამშობლოებს) რეპატრიაციის დროს თვითმფრინავში პირზე ბალიშის დაჭერით დაახრჩვეს, იძულებითი რეპატრიაციაც აიკრძალა და ჟანდარმერიაც გაუქმდა. საწყალი ყვიროდა თურმე, არ მინდა „სამშობლოში“ დაბრუნებაო. ეტყობა, აფრიკაშიც ჩვენნაირი „სამშობლოები“ აქვთ. ცარიზმის დროს საქართველოს გუბერნია ერქვა, მაგრამ „პოლშის ციხიდან“ გამოშვებულ იეთიმ გურჯს ერთი სული ჰქონდა, სანამ სამშობლოს მიწაზე ფეხს დაადგამდა: „გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო, დაკარგული შენი შვილი მოვედი!..“ ევროპის ციხეებში მსხდომ დღევანდელ ქართველ პატიმრებს კი სამშობლოში დაბრუნებაზე ტანში ზარავთ. საოცარია: უცხო ქვეყნის ციხეში ჯდომა როგორ უნდა გერჩიოს სამშობლოში თავისუფლებას?! მაგრამ, ეტყობა, სჯობია, როცა სამშობლო ჭეშმარიტი არ არის!

ამიტომ ამბობს ცნობილი ქართველი ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე ვალერიან ადვაძე: **„ჭეშმარიტება ჩაფლულია სიცრუის ჭაობში და სულ უფრო იძირება, იხრჩობა. სიცრუის ტალანტები ყოველდღე, ყოველ საათს ტელეეკრანებიდან, რადიოთი, გაზეთების ფურცლებიდან აფრქვევენ ამ „ჭეშმარიტებას“.**

ცრუძქცეულ სამშობლოზე წუხს პოლიტპატიმარი აკადემიკოსი ვლადიმერ ვახანიაც: **„ხელისუფლებას ჩვენი დარწმუნება უნდა იმაში, რომ სიცრუე არის ჭეშმარიტება. მთელი საქართველო სიცრუეზე აქვთ აგებული. სიცრუეა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ სახელმწიფოში. ეს არის ქვეყანა, რომელსაც ჰქვია საქართველო და არა სახელმწიფო... სიცრუეა, რომ ჩვენ გვყავს პარლამენტი, როგორც ხალხთა წარმომადგენელი ორგანო... სიცრუეა, რომ ჩვენ გვყავს სამართალდამცველი ორგანოები – პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო და სახალხო დამცველი... სად არის სახელმწიფო? აქ არის კრიმინალური დაჯგუფება, რომლის ნამდვილი სახელია – ხუნტა... ძვირფასო ხალხო! დამიჯერეთ, ჩვენ არა გვაქვს სახელმწიფო ნამდვილი გაგებით, ეს არის მოჩვენება. სახელმწიფოში ოდნავ მაინც უნდა მოქმედებდეს კანონი. საქართველოში კი მოქმედებს მხოლოდ უკანონობა და ძალადობა. ჩვენ არა ვართ დაცული. ჩვენ ვცხოვრობთ ხუნტის მიერ მართულ ქვეყანაში. ჩვენ წაგვართვეს ქვეყანა, ჩვენ წაგვართვეს სამშობლო და ანგრევენ ყოველდღიურად. თუ შენ უდანაშაულო ადამიანებს ათავსებ ციხეში – შენ რა სახელმწიფო ხარ? თუ შენ განზრახ არამიზნობრივად ხარჯავ, იტაცებ ქვეყნის მიუჯეტს – შენ რა სახელმწიფო ხარ? თუ შენ განზრახ უკანონოდ ართმევ საკუთრებას ხალხს და აყაჩაღებ შენსვე ბიზნესმენებს – შენ რა სახელმწიფო ხარ? თუ შენ აღიარებულად კარგავ ქვეყნის ტერიტორიებს – შენ რა სახელმწიფო ხარ? თუ შენ მასწავლებლებს, მეცნიერებს, ექიმებს აგდებ გარეთ - შენ რა სახელმწიფო ხარ? თუ შენი მოქალაქეები გარბიან ქვეყნიდან რეპრესიების გამო - შენ რა სახელმწიფო ხარ? შენ რა სახელმწიფოს მთავრობა ხარ? შენ ხარ იუდა, კაენი და კრიმინალი. ჩვენ გვყავს კრიმინალური ხელისუფლება და მე ამას ვადასტურებ, როგორც იურიდიულად, ასევე ფაქტობრივად, რადგან 2 წლის განმავლობაში გავიარე ამ კრიმინალების სისტემა და პირადად ვიხილე ყველაფერი. რომელი პრეზიდენტი, მინისტრი, პროკურორი ან მოსასამართლე საქვეყნოდ დამიდგება მე? - ვერც ერთი. ამიტომ ტყვედ ჩამკეტეს ციხეში პოლიტიკური მოტივით“** („ასავალ-დასავალი“№36, 2010).

იხ. 4 გვ.

ხედვა შორიდან

# სამშობლო და ჭეშმარიტება

(მესამე გვერდიდან)

მაინც როგორ მოახერხეს სიცრუის ტალანტებმა, რომ სულ რაღაც ოცი წლის წინათ ესოდენ სანატრელი სამშობლო ჯოჯოხეთად გვიქციეს?! როგორ და, სულ უბრალოდ: სამშობლოს ჭეშმარიტებაზე „მაღლა“ დაყენებით! დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმე გახლდათ. ამ ტრიუკით, ე.წ. „ეროვნულმა“ ძალებმა ეთნონაცისტური ფრაზებით ისე აუზნიეს ავგზა ინტერეთნიკური სულისკვეთებით გამსჭვალულ ქართველ ხალხს (ოსები და აფხაზებიც ქართველი ხალხის ნაწილი იყო), რომ, ეთნოკონფლიქტების უფსკრულში გადაჩეხილი და სამ „სახელმწიფოდ“ გაყოფილი, ჯერაც გონზე ვერ მოსულა. ამიტომ გვაფრთხილებდა დიდი ილია „მამულის კვამლისაგან“: **„ოჰ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურობასაც ვერა ვხედავთ“**. სატანური ძალა აქვს ეთნიზმს: მას შეუძლია ჭკვიანებიც გაასულელოს და სულელებს რაღას უზამდა — და მთლად ჭკუიდან გადარია არძინბა და კოკოითი.

**2.**

„რა გვეშველება?“ რა და, მამა ღმერთი არ ჩამოვა ციდან, რომ ჩვენი გასაკეთებელი იმან გააკეთოს. ცხადია, ჩვენ უნდა გავისარჯოთ, ოღონდ, სანამ ნაბიჯს გადავდგამთ, ჯერ გონებას მოვუხმოთ, რომ ჭეშმარიტი გზა გვაპოვნინოს. უპირველეს ყოვლისა, ის ვიკითხოთ, გვინდა თუ არა ჭეშმარიტება? თუ არ გვინდა, ის გვნდომებია, რაც გვაქვს, რადგან რაც გვაქვს, ჭეშმარიტების უგულებელყოფის შედეგია; თუ გვინდა (ჭეშმარიტებას - მოვუსმინოთ აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას, რადგან მერაბ მამარდაშვილს ველარ გავაცოცხლებთ, დღეს ეგ არის ამ სიტუაციის მერაბ მამარდაშვილი! ბატონი ვლადიმერის (რაღა ბატონი, კაცი პატიმარია!) აზრით, სამშობლოს ხსნა სახელმწიფოს აგებაშია. ამიტომ მოგვიწოდებს იგი: „გავერთიანდეთ! გადავარჩინოთ სამშობლო - ავაშენოთ სახელმწიფო!“

მაგრამ რა არის სახელმწიფო? სიტყვის მნიშვნელობა მისი ანტონიმით ცხადდება. ამიტომ ასე დავსვათ კითხვა: რა არ არის სახელმწიფო? სახელმწიფო არ არის ის, რასაც გამსახურდიათი დაწყებული და სააკაშვილით დაუმთავრებელი (რადგან რომ მოხდეს სასწაული და ამ „ოპოზიციამ“ გაიმარჯვოს, ამით უსახელმწიფოობა არ დამთავრდება) „პრეზიდენტობა“ ჰქვია : სახელისუფლებო კადრების არაპროფესიონალური პრინციპით დანიშვნა, ნეპოტიზმი, არჩევნების გაყალბება, ბიუჯეტის განუკითხავი და, რა თქმა უნდა, გაუმჭვირვალე ფლანგვა, სახელმწიფო ქონების ექსპროპრიაცია-თვითპრივატიზაცია, კერძო დანაზოგების ყაჩაღური წართმევა, სოციალური უზრუნველყოფის გაუქმება, კონსტიტუციის წარამარა თავის სასარგებლოდ გადაკეთებ-გადმოკეთება, უდანაშაულო ადამიანების ციხეში ჩასმა ან მოკვლა და დამნაშავეებისა და მკვლელების გაყელყელავება, კუთხურობა, მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის უგულებელყოფა, მათი საკუთარი სახელმწიფოსადმი გაუცხოება და ქვეყნიდან გაქცევა, ეთნოსეპარატიზმის გამოწვევა, სახელმწიფო ტერიტორიების დაკარგვა და „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები“...

ყოველივე ამ უმსგავსობისაგან დიამეტრალურად განსხვავებით, სახელმწიფო ნიშნავს უზურპატორ ხელისუფალთა „ქვეშევრდომების“ (რა ზუსტი სიტყვა აქვს ქართულ ენას!) სახელმწიფოს ბატონ-პატრონ მოქალაქეებად ქცევას, ადამიანებისათვის არა მარტო ადამიანის უფლებების უზრუნველყოფას (ამას უცხო სახელმწიფოც უზრუნველყოფს, თუ ის სახელმწიფოა), არამედ მათთვის პოლიტიკური უფლებების მინიჭებასაც, ანუ არისტოტელეს გამოთქმით, პოლიტიკური უფლებების არმქონე ცხოველთა „პოლიტიკურ ცხოველებად“ („ძოონ პოლიტიკონ“) ამაღლებას, საზოგადოების, და არა ერის (ერი ისტორიული ცნებაა, საზოგადოება - პოლიტიკური ცნება) არჩეული ხელისუფლების სახელმწიფოებრივ აზროვნებას, მის მიერ ე.წ. „ქართველებად“ და „არაქართველებად“ დაყოფილი (სეგრეგირებული) საზოგადოების ერთიან სახელმწიფო ერად ინტერპრეტირებას, ყველა მოქალაქის რეალურ თანასწორუფლებიანობას, სახელმწიფოს მართვაში მათი თანასწორი უფლების ჩათვლით (და არა მხოლოდ ლაილაით, როგორც ეს, მაგალითად, მიხეილ-პრეზიდენტს სჩვევია, ვითომ „ოსები უყვარს“, „სომხები უყვარს“, „ბორჩალოები უყვარს“ და ა.შ., ფაქტობრივად კი, ვინც უყვარს, „გუნდში“ ჰყავს), საკუთარი სახელმწიფოსადმი გაუცხოებული „მოქალაქეების“ უკან მობრუნებას, სეპარატიზმისა და ქვეყნის დაშლის შეჩერებას...

სწორედ ასე ესმის სახელმწიფოს არსი აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას: **„ანდა გავიხსენოთ ჩვენი ხელისუფლების ადრინდელი სულელური განცხადება იმის თაობაზე, რომ მისცემდნენ ბაღაფშს საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას. რა, არ შეიძლებოდა ბაღაფში არჩეულიყო საქართველოს პრეზიდენტად, როგორც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე? თუ არ არსებობს საქართველოს ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობა? ასეთმა შეურაცხმყოფელმა დამოკიდებულებამ რეგიონებისადმი მიგვიყვანა ჩვენ დღევანდელ დღემდე“** („საქართველოს რესპუბლიკა“ 28.09.10).



მაგრამ ახლა ქართველებს ვკითხოთ — უნდათ ასეთი სახელმწიფო? ხელისუფლებს რომ არ ენდომებათ, გასაგებია, მაგრამ საუბარია უბრალო ადამიანებზე, ჟურნალისტებზე, მეცნიერებზე, მწერლებზე, „ჩარეცხილ“ ინტელიგენციაზე.

ჰეგელის თქმით, **„როგორც მოაზროვნე, ადამიანი უკვე ბუნებრივი არსება აღარაა“**. ამის შემდეგ, ბუნებრივია, რომ ტრადიციებისა და ბუნებრიობის პატივისმცემელ პროფესორ ნათაძეს, გული ვერ გაუძლებდა, მამარდაშვილისთვისაც (ისიც ხომ ფილოსოფოსი იყო!) სულელი არ ეწოდებინა?!

არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორობა ადგილობრივი მმართველობის სრულყოფისათვის“ თანამებრძოლის ზაურ კაჭარავას აზრით, ასეთი განწყობა ქართული ტრადიციების გამოხატული **„ქართული საზოგადოება ნათესაური, მეგობრული კავშირების მყარად ჩამოყალიბებული ტრადიციებით ხასიათდება“** („საქართველოს რესპუბლიკა“ 06.11.2009).

ამ გაგებით, კახელები (და, მგონი, ქართლელებიც!) მართლა აღარ ჰგვანან ტრადიციულ და ბუნებრივ ქართველებს, თორემ მაგათი ჯინი კი არ სჭირს ვინმეს, ანეკდოტი კი რაც აფხაზეთში მოხდა?

დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო იმით არის ქართველისთვის მიუღებელი, რომ ბუნებრიობას ართმევს ადამიანს, ბიძაშვილ-დეიდაშვილ-მამიდაშვილობის ინსტიტუტსა და ნათესაური, მეგობრული კავშირების მყარად ჩამოყალიბებულ ტრადიციებს ავიწყებს და რაღაა ქართველი უამკომპლექსებოდ?! **თუმცა „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი მშვენივრად უთავსებს ერთმანეთს ტრადიციაბუნებრიობას (ყველა ქართლ-კახელის „სომხად“ გამოცხადებას) და დემოკრატიას: „თეთრებს“ მიაჩნიათ, რომ ხსნა დემოკრატიაშია, მაგრამ მაინც ვიკამათოთ კონკრეტულად და დეტალურად, ამისთვის ინტერნეტტელევიზია „თეთრების“ კარი ყველასთვის ღიაა“** („საქართველოს რესპუბლიკა“ 17.09.2010).

არადა, დემოკრატია მართლა არ არის ქართული ტრადიცია. ეგ ძველი ბერძნების ტრადიციაა, რომელიც ახალ ბერძნებს, მგონი, თვითონაც აღარ ახსოვთ. ჩვენი ტრადიცია ძველი კეთილი ბატონყმობა იყო, მშვენიერი წოდებრიობითა და შესაბამისი პრივილეგიებით და ეს „არაქართველები“ ვის დაეკარგნენ?! თუ აქ ყოფნა უნდათ, ენას კბილი დააჭირონ, თუ არა და სადაც უნდათ, იქ მიბრძანდნენ! მაგალითად, აფხაზები და ოსები ხომ მიბრძანდნენ! სომხებსა (ნამდვილ სომხებს, სომხეთის სომხების გარდა) და ბორჩალოელებსაც იგივე ელით! დემოკრატია თანაც სამოქალაქო საზოგადოება, ადამიანის უფლებები, ყველა სახელმწიფოში საზღვრის მოხსნა და საერთო კანონების შემოღება, ერთი სიტყვით, „რაც კარგია ადამიანისათვის, მაგრამ ცუდია ერისათვის“!

აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის აზრით, „საზოგადოება არ არის ერი. ერი სულიერია, საზოგადოება არ არის სულიერი არსება. ადამიანი პასუხისმგებელია თავის მოქმედებაზე, საზოგადოება არ არის პასუხისმგებელი თავის მოქმედებაზე. საზოგადოება არის შექმნილი სახელმწიფოს მსგავსად, ერის საზოგადოებებად დაყოფა შეიძლება, ერის დაშლისკენაც იყოს მიმართული. მაგალითად, დღეს ჩვენში ძალიან პოპულარულია ტერმინი სამოქალაქო საზოგადოება და მიდის ბრძოლა სამოქალაქო საზოგადოების უფლებების დაცვისათვის. სამოქალაქო საზოგადოება არის ადამიანის, ცალკეული სუბიექტების მხარეს გადახრილი ერთობა, რომლისთვის მნიშვნელობა არა აქვს ერის ინტერესებს. ისინი ამბობენ, ჩვენ თავისუფალი უნდა ვიყოთ ეროვნული ნიშნისგანო. მათთვის მთავარია ადამიანი და არა ერი. მისი აზრით, ადამიანის უფლებები სასარგებლოა მხოლოდ საზოგადოებისათვის, ერისათვის კი ისინი დამღუპველია და ამერიკიდან მოდის: „ეს (იგულისხმება ადამიანის უფლებები — **ო.ხ.**) ამერიკიდან მოდის, როცა იქ თავი მოიყარეს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩაგვრას გაქცეულმა ადამიანებმა. იქ ჩასულ ხალხს შორის შინაგანი თანხმობა გაჩნდა და ჩამოყალიბდა საზოგადოება. მათ თანდათან შექმნეს სახელმწიფო, მაგრამ ვერ შექმნეს ცალკე ერი. ამერიკელებმა ინდივიდზე ააგეს თავისი ქვეყანა. ამას სჭირდებოდა იდეოლოგია და 1944 წელს რენე კარენმა და ელეონორა რუზველტმა დაწერეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების ქარტია. საერთაშორისო სამართალი სწორედ ამ ქარტიაზე არის აგებული. მადლობა ამერიკელებს ამისთვის, მაგრამ ჩვენ გვჭირდება ერის უფლებების დაცვაც... ჩვენი ხალხი გრძნობს, რომ ამერიკელებთან ურთიერთობით ჩვენ უარს ვამბობთ ჩვენს ეროვნულ ღირებულებებზე, ჩვენს კულტურაზე, ჩვენს ტრადიციებზე... ერი და ეროვნება არა, მართალია: იმერელი დიდ თანამდებობაზე დანიშნეს და - მთელ სანათესაოს აქ ჩამოვიყვანო; კახელი დანიშნეს და — ჩემ ძმაი ეხლა უტირებ ყოფასაო.

შერისხული მოძღვრის გაიოზ კერატიშვილის აზრით, **„პოლიტიკაში სრულიად უცხოა მეგობრობა და ახლობლობა, არსებობს მხოლოდ საზოგადოების და ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებზე აგებული თანხვედრა, რაშიც უნდა გააძლიეროს პოლიტიკოსმა თავისი პოზიციები და მართოს იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში, პიროვნული და სახელმწიფოებრივი კატასტროფა გარდაუვალია!“**

რა მაგის პასუხია და, შემთხვევით, „ნათესაური, მეგობრული კავშირების მყარად ჩამოყალიბებული ტრადიციებისა“ და „ბიძაშვილ-დეიდაშვილ-მამიდაშვილობის ინსტიტუტის“ პოლიტიკაში გადატანილი კომპლექსის შედეგი ხომ არ იყო ის, არა, ის არ უნდათ! „ჯერ დამოუკიდებლობა, მერე დემოკრატია“! თორემ ბატონი ვახტანგ ხარჩილავა არც მერეა თანახმა, თუმცა ბატონი ზვიადიც ხომ ყასიდად ამბობდა „მერეო“. არა, ამ გურამ პეტრიაშვილს რაღა რჯიდა, ბებიასავით (მზია ბებია არ გეგონოთ!) თხის რქები და ჩლიქები რომ დარჩა და სტალინის საქებრად დაუდგა საქმე?! დემოკრატია ადამიანის უფლებებს ანიჭებს არა მარტო ქართველებს, არამედ არაქართველებსაც და, აბა, სათხე მარილი სად არის?! საქართველო ყველას „მამული“ უნდა იყოს, ყველა თანაბრად უნდა ურევდეს ხელს მის თაფლიან ჯამშიო. ეგრე არ არი თაყაო... თაფლიან ჯამში (ქვეყნის ბიუჯეტში!) მარტო ქართველები უნდა ურევდნენ ხელს, იმიტომ, რომ ქართველები არიან..

აფსუს თემი და თემური წყობილება! არაო, ერი აღარ გვინდა, საზოგადოება და სახელმწიფო გვინდაო, დიდი ღირებულებაა... **„ამერიკელისთვის პიროვნების კეთილდღეობაა მთავარი. ამერიკელი არ არის ერის შვილი, ის არის უბრალოდ იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანი, და ერის დაცვა მათთვის არ არის ამოცანა, ეს მათთვის ხელისშემშლელიც გახლავთ. ამერიკაში განვითარდა გლობალიზმი, რაც ნიშნავს ყველა სახელმწიფოში საზღვრის მოხსნას, საერთო კანონების შემოღებას. ეს ერის წინააღმდეგ არის მიმართული. ადამიანის უფლებების დაცვა ერის წინააღმდეგ ბრძოლა, საბოლოო ჯამში, ადამიანის წინააღმდეგაც არის მიმართული, რადგან ადამიანი ადამიანად ყალიბდება მაშინ, როცა ის ერშია“** („ასავალ-დასავალი“ № 50.2009).

დაახლოებით ამავე აზრისაა მწერალი ვახტანგ ხარჩილავაც: **„რა შეიძლება იყოს ის ერთი, ერთადერთი, ყველასთვის საერთო, ყველას გამაერთიანებელი თემა, რომლის გარშემოც შეიძლებოდა მთელი ერი დარაზმულიყო? დემოკრატიული ღირებულებები? არა, რადგან დემოკრატიაზე ფუჭი, ამაო, გაუთავებელი საუბრები ისე ამოუვიდა ყელში ქართველ ხალხს, რომ ამ სიტყვაზე უკვე არ რეაგირებს თუმცა ყოველი მეორე პარტიის სახელწოდებაში სიტყვა დემოკრატია ფიგურირებს — ვითომ მთელი საქართველო დემოკრატიის აშენების სურვილით იწვის, არადა, რაც დღემდე ავაშენეთ და რაც აქამდე შევქმენით, იმას დემოკრატობასთან საერთოდ არა აქვს შეხება... მაშინ რა არის ის უმთავრესი და უპირველესი, ის ყველას გამაერთიანებელი, ყველასთან საერთო რამ, რომელიც წესით და რიგით, თანაბრად უნდა აწუხებდეს და თანაბრად უნდა სტკიოდეს ყველას, მიუხედავად მისი სოციალური მდგომარეობისა და პოლიტიკური შეხედულებებისა? რა არის და სამშობლო. სამშობლო — გლობალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის სატანისტურ ეპოქაში დავიწყებული დიადი სიტყვა... მაშინ რატომ ხდება, რომ ქართველ პოლიტიკოსთა უმრავლესობა ხალხს ღირსების, ადამიანის უფლებების, სიტყვის თავისუფლების დასაცავად, სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად, დემოკრატიის გადასარჩენად მოუწოდებს, მაგრამ არ მოუწოდებს სამშობლოს გადასარჩენად? ყველაფერი გვინდა, მაგრამ სამშობლო არ გვინდა? კი მაგრამ, რა ფასი აქვს ამ ყველაფერს სამშობლოს გარეშე? ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტები — დემოკრატია, ადამიანის უფლებები, თავისუფალი სასამართლო და ა.შ. ის საშენი მასალაა, რომლითაც სახელმწიფო შენდება, მაგრამ, რა აზრი აქვს ამ შენობის მშენებლობას, თუ იქ სამშობლო არ არის ?ასეთი სახელმწიფო, სახელმწიფო კი არა სუპერმარკეტია — დიდი, უზარმაზარი სუპერმარკეტი“** („ასავალ-დასავალი“ №35,2010; გაზ..„პროკლამაცია“ №31,2010).

რაზეა საუბარი, სამშობლოს მაშინ აქვს ფასი, როცა იქ ადგილი არა აქვს ღირსებას, ადამიანის უფლებებს, სიტყვის თავისუფლებას, თავისუფალ სასამართლოს, სოციალური პრობლემების გადაწყვეტას და, რა თქმა უნდა, დემოკრატიის გადარჩენას. ხოლო რადგან ამაში ორი აზრი არ არის, ჭეშმარიტების ადგილი სადღა იქნება?!

პუბლიცისტსა და პოლიტოლოგ არნო ხიდირბეგიშვილს კი ხიდი უნდა გაღოს ქართველებსა და არაქართველებს შორის: **„სახელმწიფოში (რომ) სერიოზულ თანამდებობებზე დაგვენიშნა აფხაზები და ოსები, ყველა არაქართველისთვის მიგვეცა საშუალება, ცოტათი „საჭე ემართა“! გარწმუნებთ, მაშინ ეს არაქართველები, ქართველებზე უფრო დიდი თუ არა, ნაკლები პატრიოტები არ იქნებოდნენ!“** („საქართველო და მსოფლიო“ 14.09.10).

ეგრე სად არის!

**ომარ ხახაშვილი.**
ბელგიის მოქალაქე.

გლობუსი

# მიგვიღებენ ნატოში?

**გამაყრუებელი ბაქიბუქის ფონზე ჩაიარა ნატოს გენერალური მდივნის რასმუსენის ვიზიტმა საქართველოში. წინამორბედთა მსგავსად არც მან უღალატა ტრადიციას და განაცხადა — საქართველოს აუცილებლად მიიღებენ ნატოშიო. ოპტიმისტური, იმედისმომცემი სიტყვებით გახალისებული მასპინძელი წამს არ ზოგავდა მოსახლეობის დამოძღვრისათვის — ხედავთ რა ბიჭები ვართ, მიუხედავად მსოფლიოში საქართველოს მოწინააღმდეგე ძალებისა, ნატოში მაინც შევდივართო.**

ის, რომ საქართველოს წინააღმდეგ ფართო პოლიტიკურ ბრძოლას აქვს ადგილი, საზოგადოებამ რასმუსენ-სააკაშვილის პრესასთან შეხვედრისას გაიგო და უმალ დასვა კითხვა ეს ასეა, თუ ისე, როგორც ყოველთვის, შეეშალაო. დღიდან დამოუკიდებლობის მიღებისა, ხალხი შეეჩვია, რომ საქართველოს ერთი მტერი ჰყავს, რუსეთის სახით, დანარჩენი მსოფლიო კი ჩვენი გულშემატკივარი და თაყვანისმცემელია... მაგრამ თურმე არა, სხვა მტრებიც შეგვიძენია. თუ ვინ, ამას მომავალში დავადგენთ, ამჯერად პრეზიდენტის ნათქვამი რთული, გაუგებარი წინადადების უხერხულებას მივაწერთ, ოღონდ ერთია, ბოლო დროს ასეთთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა.

„დამაჯერებელი“ იყო ქვეყნის „მეორე პირის“, პარლამენტის თავმჯდომარის დიაკვანისებური დუდუნი ლისაბონის, ბუქარესტის, ბრიუსელის ხსენებით — აბა რა გეგონათ ასე ნაყოფიერად ვმუშაობთ ჩვენო. არც საპარლამენტო „ოპოზიციამ“ დააკლო ხელი. მეტად „შთამბეჭდავი“ იყო ქრისტიან-დემოკრატთა ბელადის განცხადება, ჩვეული სიდინჯით და „დამაჯერებლობით“ ნათქვამი — ნატოს რომ არ დავვიწყებივართო, ან როგორ უნდა დავავიწყდეთ, განა ასეთ მოხალისეს სადმე იპოვნის? ავღანეთში მებრძოლი ამერიკელ-ნატოელისათვის იქ ყოფნა პრობლემატურია. ომის დასასრული არ ჩანს. იზრდება კოალიციური ჯარების დანაკარგები, მასთან ერთად იზრდება დასავლელთა პაციფისტური განწყობაც. ევროპელები კატეგორიულად ითხოვენ საკუთარი მთავრობისგან ავღანეთიდან ჯარის გამოყვანას. მათზე აღარ მოქმედებს ბუშის დროინდელი პრიმიტიული თეორია — თუ სახლში მშვიდობა გსურს, ავღანეთში უნდა იომოო. ნატოს წევრ სახელმწიფოებში იშვიათობას აღარ წარმოადგენს იმის ხმამაღლა განცხადება, რომ ერაყ-ავღანეთის ომების წამოწყება შეცდომა იყო. სულ ახლახან ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ახალმა ლიდერმა მილიბენდმა პირველსავე საჯარო გამოსვლაზე დაგმო ინგლისის მონაწილეობა ერაყის ომში. მას ომის დაწყება შეცდომად მიაჩნია. ცხადია ამ მოსაზრებას არ იზიარებს ლეიბორისტთა ძველი ლიდერი და პრემიერ-მინისტრი ბლერი. ის დღესაც დაბეჯითებით აცხადებს, რომ ინგლისი სწორად მოიქცა.

ინგლისი, აშშ-ს უახლოესი მოკავშირე და თანამებრძოლია, ამდენად მისი მხრიდან ვაშინგტონისათვის მხარის დაჭერა გასაკვირი არ არის, გასაკვირია საქართველოს ხელისუფალთა გადაწყვეტილება ომში ჩართვასთან დაკავშირებით. თუმცა არც ესაა გასაკვირი, როდესაც ქვეყანას სააკაშვილისნაირი მმართველები ჰყავს. ისინი ხომ ამით დასავლეთის თვალში მსუყე ქულებს იწერენ?! მათთვის არაფერს წარმოადგენს სხვის ომში ათასობით ქართველის გაგზავნა. **საქართველო ევროპა არ არის, ამ მოქმედებით პოლიტიკურმა პარტიამ არჩევნებზე ხმები დაკარგოს, ისე, როგორც ინგლისელმა ლეიბორისტებმა. ერაყ-ავღანეთში ქართული კონტინგენტის გაგზავნის საწინააღმდეგო არც დემონსტრაცია მოწყობილა და არც მიტინგი. საჯაროდ საწინააღმდეგო ხმა არავის ამოუღია სარიშვილის გარდა. როგორც ჩანს, ამ საკითხისადმი ქვეყნის მოსახლეობას, ევროპელთაგან განსხვავებით, სხვაგვარი დამოკიდებულება აქვს — ჯარისკაცისთვის გაცემული ანაზღაურება, ასეთს ხომ აქ ვერ მიიღებდნენ? აღარავინ ფიქრობს დასახიჩრებაზე ან სიკვდილზე. ის, რომ ქართველი მეომრისთვის ავღანეთში ბრძოლა არც პატრიოტიზმია და არც აბსტრაქტული ინტერნაციონალური ვალი, უბრალო ჭეშმარიტებაა და მეტი არაფერი. მაგრამ ფული.**

რასმუსენის ვიზიტის მთავარი მოტივიც ეს იყო, ანუ საქართველოს ხელისუფლებისთვის თავზე ხელის გადასმა. და ამით უფრო მეტად წახალისება — არ აჰყვეს ზოგიერთი ევროპელის გადაწყვეტილებას ჯარის გამოყვანის თაობაზე.

ნატოსთან, გარდა სამხედრო თანამშრომლობისა, სხვა პროგრამებიც არსებობს, რომელთა განსახორციელებლად სეროზული თანხები იხარჯება, თუმცა ფართო საზოგადოებამ არც არაფერი იცის აღნიშნულთან დაკავშირებით.

ნატოსთვის საქართველო ის ქვეყანაა, რომელსაც უპრობლემოდ იყენებს რუსეთთან ურთიერთობის გამწვავების დროს. არ მოეწონება ბრიუსელს მოსკოვის ქცევა, უმალ აიქნევს ჯადოსნურ ჯოხს და სააკაშვილი უზადლო ენერგიით ქოქოლას დააყრის რუსეთს. „გადატვირთვის“ მიუხედავად ნატოსთვის, ისევე, როგორც ვაშინგტონისთვის მოსკოვი მოწინააღმდეგედ მოიაზრება. ძმობა, ძმობად, მაგრამ საქმე, საქმედ. საჯარო კორექტულ თანამშრომლობას ხშირად ახლავს კულისებში დაპირისპირება. რასმუსენის ხმამაღალი განცხადება ამ „ოპერიდანაა“. ამბობდა რა ამას, ორით თუ არა, ცალი თვალით მოსკოვისკენ იყურებოდა. საინტერესოა რას ევაჭრება დასავლეთი რუსეთს? თითქოს მთელი რიგი სავაჭრო საკითხებისა გადაჭრილია, რაღა დარჩა? პასუხს მომავალი გვიჩვენებს. **ტკბილი სიტყვების მომსმენ მასპინძელს რა? თავზე ხელის გადასმა და დაიმედება — ნატოში შეხვალთო, ჩვენ თქვენთან ვართო. განა ეს ცოტაა? ცოტააო, ამტკიცებს მოკირკიტე მკითხველი — ეს ზღაპარი 10 წელზე მეტია გვესმისო. პასუხი მოკლე და კონკრეტულია — ამ ეტაპზე არაფერი, სხვაზე რა იქნება, ამას მომავალი გვიჩვენებს.**



გადმოიწერს თუ არა ნატოს ხვალინდელი სამიტი გუშინდელ ფორმულირებას უკრაინა-საქართველოსთან მიმართებაში, ვითარება არ შეიცვლება. და ასე იქნება, ვიდრე საქართველო არ შეასრულებს ნატოს მიერ მოცემულ საშინაო დავალებას: ქვეყნის დემოკრატიზაციას, სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, სასამართლო სისტემის დახვეწას, ეკონომიკის გაჯანსაღებას, მეზობლებთან, ანუ რუსეთთან კონფლიქტური ვითარების გამოსწორებას, ქვეყნის შიდა კონფლიქტური პრობლემების გადაჭრას და სხვა. აღნიშნული საკითხები 2008 წლის აგვისტომდეც ნატოსკენ მიმავალ გზაზე გადაულახავ ბარიერად იყო აღმართული. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ, განსაკუთრებით პრეზიდენტმა ნატოელთა თვალში სპონტანურად მოაზროვნე, გამოუცნობი ქმედების მატარებელი პირის იმიჯი შეიძინა. ნატომ დაინახა, რომ საქართველოს ხელისუფალთა მიზანი პრიმიტიულია — ნატოსათვის საკუთარი პრობლემების აკიდება. რატომ უნდა აიტკივოს, აუტკივარი თავი ნატომ? არ აიტკივებს! ქართველთა დასამშვიდებლად კი გამუდმებით იტყვის — ნატოში მიგიღებთო.

ნატოში შესვლის გზაზე ყველაფრის გარდა რუსული ბარიერიც არის აღმართული. ის უკიდურესად უარყოფითად ეკიდება საქართველოს ნატოში ყოფნას. მართალია რუსეთი ფორმალურად არ წყვეტს ამ საკითხს, მაგრამ პრაქტიკულად მასზე ბევრია დამოკიდებული, ვინაიდან ამერიკა-ნატო ბევრ სასიცოცხლო საკითხებში რუსეთზეა ჩამოკიდებული. რა საკითხებთან გვაქვს საქმე? უპირველეს ყოვლისა, ავღანეთში მეომართათვის სხვადასხვა სახის ტვირთების რუსეთიდან გატარება, ავღანელი სამხედროებისთვის რუსული სამხედრო ტექნიკის უანგარო გადაცემა, ირანის მიმართ დასავლეთისათვის შესაფერი პოზიციის დაკავება და სხვა. რუსეთმა ყველა აღნიშნული პრობლემა პოზიტიურად მოაგვარა — ტრანზიტზეც დათანხმდა, ავღანეთს იარაღიც გადასცა, მათ შორის შვეულმფრენები მ-17, ირანის საწინააღმდეგო რეზოლუციასაც მხარი დაუჭირა, უფრო მეტიც, უარი სტკიცა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა C-300 გადაცემაზე.

დიპლომატია ვაჭრობაა. რას ელის რუსეთი დასავლეთიდან? მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებას, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსების შეჩერებას, ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შეჩერებას და სხვა. შეძლებს დასავლეთი რუსეთის მოთხოვნების შესრულებას? როგორც ჩანს, აპირებს. ყოველ შემთხვევაში, აქტიურად ლაპარაკობენ ევროპის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემაში რუსეთის ჩართვაზე, უფრო მეტიც — ნატოში გაწევრებაზეც და მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში შეყვანაზეც. რა უფრო მნიშვნელოვანია დასავლეთისთვის — რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობა თუ საქართველოს გადამკიდე ამ ურთიერთობის გაუარესება? პასუხი ნათელია.

**პრაქტიკული ევროპელები დაბეჯითებით იტყვიან საქართველოს ნატოში შესვლაზე, ანალოგიურს, საქართველოს ხელისუფლებაც გააკეთებს — საკუთარი ხალხის დასაშოშმინებლად, თუმცა ერთმაც და მეორემაც კარგად იცის, რომ ამას ადგილი არ ექნება, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს პერსპექტივაში და თუ ექნა — საქართველო ნატოში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე აღმოჩნდება, რაც ისედაც „დაკარგულს“, სამარადისოდ დაგვაკარგვინებს.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

მედიასივრცე

# რით გააოცეთ ქართველმა ჟურნალისტებმა ამერიკელი კოლეგა

## ვიქტორ ეშის ვიზიტი თბილისში

**ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების რომელიმე წევრი, მაგალითად, დავით ბაქრაძე ან გიგა ბოკერია საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის წევრია (თუმცა მეც ვთქვი რა, აბა, გიორგი ჭანტურია ვინაა?)... და ასეთი ტელევიზიიდან ობიექტური სიტყვა ისმოდეს და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით სარგებლობდეს. წარმოუდგენელია!!! მაგრამ, ის, რაც ქართული რეალობისთვის შეუსაბამოა, სრულიად ბუნებრივი მოვლენა გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. ეს ქვეყანა ძალიან ბევრი რაღაცის გამო შეიძლება გაკიცხო, თუმცა თავისუფლების მაღალ ხარისხს ვერ დაუკარგავ. ასეთ ქვეყანაში კი მართლაც რომ სანატრელია, ჟურნალისტი იყო.**

ვიქტორ ეში რამდენიმედღიანი ვიზიტით საქართველოს ესტუმრა. მას საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის თბილისის ოფისმა უმასპინძლა. ვინ არის ბატონი ეში? ამერიკის საერთაშორისო მაუწყებელთა ბორდის (ჯგუფისძ წევრი, რომელსაც ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ხელმძღვანელობს. „ამერიკის ხმა“, „თავისუფლება“, „თავისუფალი ევროპა“, „თავისუფალი აზია“... — ანუ ამ მედიაჰოლდინგის ბორდი რამდენიმე ავტორიტეტულ კომპანიას ფლობს, თუმცა ვის მოუვა თავში მათ ობიექტურობაში ეჭვი შეიტანოს იმის გამო, რომ ამ პრესტიჟული და სამართლიანი არხების ხელმძღვანელი ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების მეორე პირია. ვიქტორ ეში რეიგანის პრეზიდენტობის დროს ელჩი იყო რამდენიმე ქვეყანაში. 2004-2009 წწ-ში — პოლონეთში, წლების განმავლობაში სხვადასხვა მაუწყებლობაში მუშაობდა, ხოლო ამჟამად, როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო მაუწყებლობების ბორდის წევრია. მან საქართველოში ჩამოსვლისას, ქართველ ჟურნალისტებთან შეხვედრა დაგეგმა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო უსაფრთხოების კვლევის ფონდში და ამერიკის მედიასივრცის შესახებ ზოგადად ისაუბრა. მისი განმარტებით, სახელმწიფო მდივანი ვერ ბლოკავს ვერანაირ ინფორმაციას, რადგან ბორდში ოთხი რესპუბლიკელია, ოთხი — დემოკრატიული პარტიის წევრი. **„ბორდის სხდომებს ქალბატონი კლინტონი ვერ ესწრება, მაგრამ მისი წარმომადგენელი ამბობს, როგორია სახელმწიფო დეპარტამენტის პოზიცია ამა თუ იმ საკითხზე. ის შეგვახსენებს და გვამცნობს, როგორია სახელმწიფოს ხედვა. დანარჩენს უკვე ჩვენ ვწყვეტთ ობიექტურად. მართლაც რომ პროფესიონალი თანამშრომლები გვყავს. მართალია, ოთხი რესპუბლიკელია და ოთხი დემოკრატი, თუმცა ეს სულაც არ გულისხმობს, რომ აუცილებლად ოთხი ოთხის წინააღმდეგ უნდა იყოს. ჩვენ თავისულება გვაქვს და შესაძლოა ოპონენტი პარტიის იდეას მივემხროთ, ანუ არაპოლიტიკური თანამშრომლობა გვაქვს. თუმცა შეცდომებისგან არავინ არის დაზღვეული, ჩვენც ვცდებით ხოლმე...“** — ამბობს ეში.

ყოფილი ელჩი ჟურნალისტებს მოუყვა, როგორი თანამშრომლობა აქვთ ხოლმე საჯარო მოხელეებს, თანამდებობის პირებს, ბიზნესმენებსა და ჟურნალისტებს აშშ-ში. ინფორმაციის დაგვიანებით მიწოდების გამო შეიძლება მედიის წარმომადგენლებმა იჩივლონ და პროცესი მოიგონ, — ამბობს ეში.

როცა ქართველი ჟურნალისტები ვუყვებოდით, როგორ რეჟიმში გვიწევს მუშაობა, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ჩვენთან თითქმის ვერ ხერხდება, და რომ სასამართლოს იმედი საერთოდ არა გვაქვს და ა. შ. ეში გაოცებას ვერ მალავდა. სხვათა შორის, ამერიკელმა კოლეგამაც აღნიშნა, რომ ფინანსური თვალსაზრისით იქაც არანაკლები პრობლემები აქვთ, განსაკუთრებით კი ბეჭდურ მედიას უჭირს.

არის თუ არა საქართველოში მედიასივრცე თავისუფალი? — ქართველმა ჟურნალისტებმა უპასუხეს, რომ ნაწილობრივ თავისუფალია. თავისუფლება ძირითადად სწორედ პრესას შეეხება, სამაგიეროდ გაცილებით მცირე აუდიტორიას მოიცავს, ვიდრე ტელე-რადიოსივრცე, შესაბამისად ისეთ გავლენას ვერ ახდენს საზოგადოებაზე, როგორც ტელევიზია.

ძალიან ბევრ პრობლემაზე ვესაუბრეთ ბატონ ეშს. შეძლებისდაგვარად ვეცადეთ გარკვეული წარმოდგენა შექმნოდა მას აქ არსებულ სიტუაციაზე, ჟურნალისტების ყოფაზე, ხელისუფლების საზოგადოებისადმი დამოკიდებულებაზე და ზოგადად იმაზე, თუ რამდენად კარგად „კიაფობს“ დემოკრატიის შუქურა საქართველოში. ვიქტორ ეში მიღებული ინფორმაციით გაოცებული დარჩა.

**დავბრუნდებიო, დაგვპირდა და ოთხსაათიანი შეხვედრა ამით ამოიწურა. ჟურნალისტებმა კი კიდევ ერთხელ შევჩივლეთ ერთმანეთს, რა დაუფასებელი და თითქმის „არაფრისმაქნისი“ პროფესიაა ჟურნალისტობა საქართველოში და თურმე რა დიდი განსხვავებაა თავისუფლებასა და ნაწილობრივ თავისუფლებას შორის...**

თეა მოსია

ცხელ გზაზე, ცხელ კვალსა და ცხელ... გულზე

# მიეცით ბიჭსა გზა ფართო...

**ბიჭში საქართველოს პრეზიდენტს ვგულისხმობ, მიხეილ სააკაშვილს — გაიხსენეთ, როგორ წარმოგვიდგინა თავი იმ ფრიადოსან ბიჭად, რომლისგანაც საკონტროლო წერით ნამუშევრებს იწერენ რუსეთი და სხვა „ოროსნები"; თანაც ეს მისივე შეთხზული (ან ჭკუით გატენილი რომელიმე მრჩევლის შემოთავაზებული) მოდელი უკვე რამდენჯერმე გაიმეორა ენა-პირის ქვეშ გართხმული ტელეეკრანიდან.**

ქვეყნის მეთაური „იურიდიულად" (ანუ კონსტიტუციურად) ისედაც მრავალი უფლებითაა აღჭურვილი, მაგრამ არა კმარობს და უფლებათა სპექტრს სულ უფრო იფართოვებს („შესაბამისად" ივიწროებს მოვალეობებისასძ. ასე თუ გაგრძელდა, მალე ეგებ პირველი ღამის უფლებაც მიიწეროს, მე შენ გეტყვი და, საპრეზიდენტო ვადა კიდევ ბევრი არა აქვს დარჩენილი (ყოველ შემთხვევაში, თვითონ ფიქრობს, რომ წინ კიდევ დიდი ასეთი დრო უდევს...ძ.

ჰოდა, სწორედ ამ ფრიადოსანმა ბიჭმა აგერ, გასულ შაბათს, სწორედ პირველი გზამკვლევისა, გზამხსნელისა თუ მეკელის უფლებით გაუსინჯა გომბორის ახალ გზას „კბილი" (ანუ ასფალტური დაფარვა, დანაგებიძ. ავტომობილის სრიალით გაუსინჯა, რომელსაც თვითონვე მართავდა; ძირითადად მარცხენა ხელით, თანაც, ჩემი უპროფესიულო თვალითაც კი, საკმაოდ მარჯვედ; მარჯვენა ხელს უკან მსხდარ კახელ ცოლ-ქმართან საუბრისას ჟესტიკულაციისათვის, აგრეთვე ალერსით განებივრებული ცხვირის მისაკითხად იყენებდა.

იმ ცოლ-ქმარს მიხეილ-ბატონი მანამდე ოჯახში სწვევია, რთველში, ყურძნის კრეფაში მიხმარებია და სასიკეთოდ, თბილისში იმავე ავტომანქანით წამოუყვანია ნაჯაფარ-ნაამაგარი მოწეული ყურძნის თანხლებით...

ფრიადოსან ბიჭს პოლიციამ თუ საგზაო პატრულმა გზა ფართო მისცა; ყოველ შემთხვევაში, არც შემხვედრი, არც ჩამძროლავი თუ გადამსწრები ავტომობილის ჭაჭანება არ იყო კადრებში; ისიც გამიკვირდა, რომ დაცვის კორტეჟს ვერსად მოვკარი მზერა...

მაინც უნდა შევაქო გადამღები ჯგუფი: შესანიშნავად უმუშავიათ, მოსაუბრეთა სახეების არც ერთი ნაკვთი, თვით საუბრის არც ერთი სიტყვა უყურადღებოდ არ დარჩენიათ.

ამის წყალობით შევიტყვეთ ბევრი რამ: რომ მთელი კახეთი პრეზიდენტის მადლიერი ყოფილა, ამდენ რამეს რომ უკეთებს (ნეტავ ვინ მისცა იმ სახელოვან მევენახეს მთელი კახეთის სახელით ლაპარაკის რწმუნება...ძ; რომ საქართველოში მიხეილ-ბატონის ხელში უფსკრულიდან მწვერვალზე ასულა და მონღოლივით ვიწრო თვალები უნდა ჰქონდეს კაცს, ეს რომ ვერ დაინახოს (მე პირადად, ეტყობა, დაკატარაქტებული თვალებით ვერა ვხედავ ამას — **ლ. გ.**ძ; კიდევ რამდენიმე კაი „სატოპკე" აუწია (ფრენზურთის ენას რომ დავესესხოთძ იმ ავტოსალონში ნამასპინძლარმა სტუმარმა ნასტუმრალ მასპინძელს; არადა, მიხეილ-ბატონს რა „სატოპკე" უნდა, ისედაც არ უჭირს ტრაბახი; მაგალითად, რომ ის კაბინეტში კი არ ზის წინამორბედივით (ედუარდ შევარდნაძესავითძ, არამედ ყველგან დადის, რომ ორ-სამ წელიწადში საქართველო სამოთხეს დაემსგავსება; რომ მალე ყველა გზა მარტო რ ო მ ა მ დ ე  ა რ  მივა... — ჩვენამდეც მოვა... რომ... რომ...

ბატონ ედუარდთან დაკავშირებით: რაღაც ლამაზი არ მეჩვენება და უტაქტობა მგონია, რომ აწინდელი პირველი პირის შემთხვევას არ უშვებს უწინდელის გაუკეწლავად. ერთგვარი შიშიც მიპყრობს, ემანდ აკაკის მხატვრული გმირის ჰაჯი-უსუბის („გამზრდელი"!ძ დღეში არ ჩავარდეს საბრალო ბატონი ედუარდი...

ავტომობილის ამგვარი მოხერხებული მართვით, სრიალ-სრიალითა და პიარ-პიარით ჩამოვიდნენ თბილის-ქალაქში „ჩვენი" მგზავრები (ნეტავ ქვეყანას მართავდეს მიხეილ-ბატონი აგრე, როგორც ავტომანქანასძ. მორიგ პიარ-აქციამდე, ბატონო პრეზიდენტო! ისე, ამდენმა პიარ-აქციამაც ხომ არ  დ ა ა ქ ც ი ა  ეს ქვეყანა, ნეტავ!..

ზემოთ რთველი და ყურძნის კრეფა ვახსენეთ და აქვე სათქმელით დავასრულოთ: მიშა მიშაზე ნაკლები რუსმა შეჭამაო (რუსის კერძი გამხდარაოძ — იფიქრა ვიცე-სპიკერმა მიხეილ (მიშაძ მაჭავარიანმა (სხვანაირადაც შეეძლო ეფიქრა: შემირცხვენია შენზე ნაკლები პიარისტიო, იფიქრა და ზემდგომ (სპიკერი დავით ბაქრაძეძ და ქვემდგომ (პარლამენტარებიძ კოლეგებთან ერთად მიაშურა კახეთს. ცნობილი არ არის, დასანანად, რამდენი შრომადღე გამოიმუშავეს მოხალისე მერთვლეებმა, მაგრამ არა მგონია, იმ გამომუშავებულს გადაეწონა ის ხარჯები, რაც მაგათ მოგზაურობას და ადგილზე გამასპინძლებას დასჭირდებოდა...

**ვაჰ, ბოსებო, რა პიარ ხართ, რას პიარობთ,**
**რა ზნე გჭირთა,**
**ნეტავ ხალხი როგორ გგუობთ შესანახად ასე ძვირთა;**
**რაც მახსოვხართ, ნიადაგმცა ლხინს აკითხავთ, განა ჭირსა,**
**მაგრამ ღმერთი არ გასწირავს მამულს,**
**თქვენგან განაწირსა...**

ლუკა გორგაძე

პერსპექტივა

# მშიერი ზამთრის მოახლოების განცდა

**ყველაფერი გაძვირდა: პური, შაქარი, ზეთი, ფქვილის ნაწარმი, ბურღულეული, ცხიმები, ხილი, ბოსტნეული, მწვანილიც კი, რომელსაც, თითქოსდა, მსოფლიო გლობალურ მოვლენებთან და სხვადასხვა „ჭუპა-ჭუპა" რეიტინგებში საქართველოს აღმასვლის მიუხედავად, ქვეყანაში მკვიდრად დაბუდებულ სიდუხჭირესთან საერთო არაფერი აქვს. მაგრამ, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ მწვანილიც „ამ ქვეყნის შვილია", ქინძიც და ოხრახუშიც სხვას ტოლს არ უდებენ.**

მთავარი მაინც ის არის, რომ კვების პროდუქტების გაძვირება „ერთჯერადი" კი არა, ჩვენში დიდი ხანია განუხრელი და, რაც ყველაზე მტკივნეულია, აბსოლუტურად დამოუკიდებლად შეუქცევადი პროცესია, რომელსაც დასასრულის პირი არ უჩანს. თუ, ვთქვათ, პურის გაძვირებას რაღაც ობიექტური გამართლება მაინც ჰქონდა (რუსეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მიერ ხორბლის გაყიდვაზე ემბარგოს დაწესებაძ, წიწიბურასა და ცხიმებს — მზესუმზირას, სიმინდის, ზეითუნის ზეთებს, კარაქს, მარგარინს — ახლა რძის ნაწარმის გაძვირება მოყვა, რაც ჯერ ერთი სეზონურ ცვლასთან, მეორეც მარცვლეულთან მესაქონლეობის მჭიდრო კავშირითაა განპირობებული. ამასთან, არსებული ინფორმაციით, მსოფლიო ბაზარზე ბოლო დროს სერიოზულად კლებულობს რძის ფხვნილის წარმოება, რომელიც ჩვენში სათანადო პროდუქციის წარმოების ბაზის 90 პროცენტზე მეტს შეადგენს. ამის მაგალითი თუნდაც საკურორტო სეზონის პიკზე აჭარის მთელ რიგ დამსვენებელთათვის მიმზიდველ ადგილებში რძისა და მისი ნაწარმის მწვავე დეფიციტი იყო, რის გამო მწარმოებლები რძის ფხვნილზე გადავიდნენ, ამან კი, თავის მხრივ, პროდუქციის ფასები გააორმაგა.



ამჟამად საკურორტო სეზონი უკვე მიიწურა, რომელსაც, გინდა არ გინდა, გაზრდილი მოთხოვნილების პირობებში, საბაზრო ფასებში თავისი კორექტივები შეაქვს. თუმცა, როგორც ვხედავთ, ოქტომბრის დამდეგს რძე და მისი ნაწარმი პროდუქცია, საშუალოდ, 20-25 პროცენტით გაძვირდა და რამდენად მოიმატებს ზამთრის მოახლოებასთან ერთად, ძნელი სათქმელია. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ თუკი ჩვენში ისეთი საყოველთაოდ მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტი, როგორიცაა ლობიო, რომელსაც ამ დროს იღებენ და, ამდენად, წლის სხვა დროსთან შედარებით უფრო იაფია, ახლა 5-6 ლარი, ზოგჯერ მეტიც ღირს, პროგნოზი რძის ნაწარმისა და სხვა კვების პროდუქტების ზრდასთან დაკავშირებით აშკარად არასახარბიელოა.

როცა მაღალი ტრიბუნებიდან გამუდმებით გაისმის ტრაბახი იმის თაობაზე, თუ როგორი კილომეტრიანი ნაბიჯებით მიიწევს ქვეყნის ეკონომიკა „შვეიცარიზაციის" გზაზე, ბიუჯეტის შევსება კი „სინგაპურიზაციის" გზით მიდის, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ათასნაირი ჯარიმების შემოღებით, თან არც ხელფასების, არც პენსიების ინდექსაციას არანაირი პირი არ უჩანს, მოსახლეობის გაღატაკება ახლა კიდევ უფრო სწრაფად აკრეფს ტემპს. ჰოდა, ამ პირობებში რა გასაკვირია, რომ ხალხის აბსოლუტური უმეტესობა იძულებული იქნება, მთავრობისგან განსხვავებით, მართლა „მოიჭიროს ქამრები" საკვებისთვის ნაკლები ადგილის დასატოვებლად. ეს, თავის მხრივ, კვების პროდუქტების მოხმარების შემცირებას გამოიწვევს, რაც, მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის ლოგიკით, კიდევ უფრო დაამძიმებს სოფლის მოსახლეობის ისედაც უმძიმეს მდგომარეობას.

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, შრომისუნარიანი მამაკაცის ერთი თვის სამომხმარებლო კალათის ღირებულება, რომელიც საკვებისა და მომსახურების მოთხოვნილებათა მინიმუმს გულისხმობს, შემოდგომის დამდეგისთვის თვეში 128 ლარზე ოდნავ მეტს შეადგენდა.** კომუნალურ და სხვა სახეობის მომსახურებას, ვთქვათ, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობას, გაზისა და დენის გადასახადებსა და წამლების შეძენას თავი რომ დავანებოთ, იგი კვების პროდუქტების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მრავალფეროვნებასა და კალორიულობასაც ითვალისწინებს. მაგრამ, განა ვინმეს გაუკვირდება ის, რომ ოჯახისთვის კვების პროდუქტების შეძენისას კაცი გუნებაში მათ მრავალფეროვნებას საგანგებოდ ითვალისწინებდეს და, მით უმეტეს, კალორიულობას ანგარიშობდეს?! ოჯახის მარჩენალთა აბსოლუტურ უმრავლესობას ის ფიქრი აქვს, რომ შეიძინოს ის, რაც უფრო ყუათიანია და სხვასთან შედარებით უფრო იაფი. აქვე ერთ პარადოქსსაც აღვნიშნავთ: **იმავე სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საცხოვრებელი მინიმუმის დონე თითქოს არ შეცვლილა, ამ დროს კი ფასები გასაშუალოებული მაჩვენებელი რომ ავიღოთ, წლეულს იგი დაახლოებით 50 პროცენტით გაიზარდა.** ეგ როგორი არითმეტიკაა, იქნებ აგვიხსნან ახლა უკვე „დამოუკიდებელმა" ეროვნულმა სტატისტიკოსებმა? თორემ **დამოუკიდებელ ექსპერტთა გაანგარიშებებით, ერთი კაცის სამომხმარებლო კალათა სადღეისოდ, სულ მცირე, 300 ლარს მაინც „იწონის".** განა რა ჯანი უნდა ეყოს საშუალო სტატისტიკურ ჯანღონით სავსე შრომისუნარიან მამაკაცს, როცა აუცილებელი მინიმუმის 40 პროცენტზე ნაკლებს მოიხმარს, თანაც ეს უკეთეს შემთხვევაში?

სავსებით გასაგებია, რომ ისეთ მცირე, ძირძველ აგრარულ ქვეყანაზე, როგორიცაა საქართველო, რომელმაც თან ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე უმძიმესი პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და სოციალური კატაკლიზმი გადაიტანა, რომელთა შედეგებს ფეხის ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით, მსოფლიო-ეკონომიკური კრიზისი და არაკეთილმოსურნეთა ათასგვარი ხრიკი განსაკუთრებული სიმძაფრით მოქმედებს, პირველ ყოვლისა, სამოქმედო პრიორიტეტების სწორად შერჩევა სჭირდება. საქმე მარტო მათი შერჩევაც იმდენად არ არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც მათი რეალურად განხორციელება, თუმცა სადღეისოდ აშკარად გამოკვეთილია მხოლოდ ბიუჯეტის ფისკალური მეთოდებით შევსების პრიორიტეტი, რაც მოსახლეობას ვერანაირად ვერ დააპურებს.

ოთარ ტურაბელიძე

ერთიანი საჰაერო სივრცე

# ქართულ ავიაკომპანიებს საფასო პოლიტიკის კორექტირება მოუწევთ

**ქართველი ექსპერტების აზრით, საქართველოსა და ევროგაერთიანებას შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შექმნის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში ქართულ ავიაბაზარზე მოქმედ კომპანიებს საფასო პოლიტიკის კორექტირება მოუწევთ.**

„ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრის ექსპერტი" დავით ნარმანია საქართველოსა და ევროგაერთიანებას შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შექმნის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას მნიშვნელოვნად მიიჩნევს, მაგრამ ყურადღებას იმ ფაქტზე ამახვილებს, რომ მისი გაფორმების შემთხვევაში ქართულ საავიაციო სისტემას საკმაოდ შრომატევადი სამუშაოების ჩატარება მოუწევს.



**„ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი ფაქტი იქნება, რადგან ეს ევროკავშირის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას შეუწყობს ხელს, თუმცა უნდა გვესმოდეს, რომ ეს ხელშეკრულება ავიაკომპანიებისთვის გარკვეული შეზღუდვების დაწესებას და ევროკავშირის საჰაერო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვას მოითხოვს. ამდენად, ქართულ და ევროპულ მხარეს შორის შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში ქართულ საავიაციო სისტემას საკმაოდ შრომატევადი სამუშაოების ჩატარება მოუწევს",** — განაცხადა ექსპერტმა.

ამასთან, იგი ყურადღებას ქართულ ავიაბაზარზე მოქმედი კომპანიების მაღალ საფასო პოლიტიკაზე ამახვილებს და ამას კონკურენციის არარსებობით ხსნის.

**„მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ავიაბაზარზე რამდენიმე კომპანია ოპერირებს, მათ შორის კონკურენცია მაინც დაბალია, რადგან ავიაკომპანიებს საჰაერო სივრცე გადანაწილებული აქვთ. ამას აეროპორტის მოსაკრებელიც ემატება და საბოლოო ჯამში, ბილეთების ფასი მაღალი გამოდის",** — აღნიშნა ნარმანიამ.

მის მოსაზრებას ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ლევან კალანდაძეც ეთანხმება და თვლის, რომ ქართულ ავიაბაზარზე მოქმედი კომპანიების საფასო პოლიტიკა გადახედვას საჭიროებს. **„საქართველოს ევროპის საჰაერო სივრცეში ინტეგრაცია ზოგადად ძალზე სპეციფიკური სფეროა, თუმცა ეკონომიკური ურთიერთობების ერთიან საჰაერო რეგულაციას ცალსახად შეუწყობს ხელს, ეს კი, ბუნებრივია, ქართული ეკონომიკისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. თუმცა ეფექტური შედეგის მისაღწევად გადამწყვეტი მნიშვნელობა ქართულ ავიაბაზარზე მოქმედი ოპერატორების მოქნილ პოლიტიკას ექნება. ხელისუფლების წარმომადგენლებსაც ხშირად აღუნიშნავთ, რომ ავიაბაზარზე არსებული ფასები გადახედვას საჭიროებს. ამდენად შედეგის მისაღწევად ოპერატორებს ფასების კორექტირება მოუწევთ",** — განუცხადა „პირველს" კალანდაძემ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „პირველი" კომენტარისთვის ქართული ავიაბაზრის ერთ-ერთ მთავარ მოთამაშეს — „აირზენასაც" დაუკავშირდა, თუმცა კომპანიაში კომენტარის გაკეთება არ ისურვეს და მიზეზად საქართველოსა და ევროგაერთიანებას შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შექმნის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პუნქტების დეტალური არცოდნა დაასახელეს.

შეგახსენებთ, რომ გუშინ სასტუმრო „ამბასადორში" საქართველოსა და ევროგაერთიანებას შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შექმნის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით ევროკავშირის ექსპერტებსა და ქართულ მხარეს შორის კონსულტაციები გაიმართა.

როგორც „პირველს" სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ ალეკო გაჩეჩილაძემ განუცხადა, კონსულტაციები დღესაც გაიმართება, აღნიშნული ხელშეკრულება კი სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ბოლომდე გაფორმდება.

ცნობისთვის, დღეისათვის ქართული ავიაბაზარი 20 ეროვნული და 15 უცხოური ავიაკომპანიითაა წარმოდგენილი.

თელარა გელანტია,
საინფორმაციო სააგენტო „პირველი".

◎ გვეხმაურებიან

# ხმა ფოცხოდან

**სასწაული** მოხდა-მეთქი, ვერ გეტყვით, რადგან, სხვებთან არ ვიცი, მაგრამ ჩვენს რედაქციაში ხან სარედაქციო, ხან პირად სატელეფონო ნომრებზე ხშირად რეკავენ მკითხველები. გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, აზრებს, მადლობას თუ გულდაწყვეტას და ჩვენც, შეძლებისდაგვარად, ხან ნაბეჭდად, ხან ისე, ზეპირად, ვეპასუხებით მათ. ასე მყარდება ჩვენსა და მათ შორის კავშირები.

ასე იყო ამჯერადაც. ოღონდ სასწაული ის გახლდათ, რომ ერთ პრობლემურ წერილს („საქ. რესპუბლიკა“, 3. IX.10 წ.) ძალზე მალე გამოეხმაურნენ მოქალაქეები და ისიც რეგიონიდან, სადაც წესით, ქართული ფოსტის გა-



დამკიდე, ჯერაც არ უნდა ყოფილიყო მიღწეული ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი.

იმ დღეს 12 საათი არ იქნებოდა, პირველი ზარი რომ გაისმა:

— რედაქციაა?.. ასე დაუკითხავად რად ერევით ჩვენს საქმეებში?..

— რა მოხდა, ბატონო?

— რა მოხდა და რას გვიბუნტებთ ამ ხალხს, ფოცხოში საცხოვრებელი პირობები არ არისო რომ წერთ?

— რა, თქვენ გგონიათ, არის ფოცხოში საცხოვრებელი პირობები?

— თქვენ არავინ გეკითხებათ ამას... ჩვენ გვაქვს დავალება და იმას ვაკეთებთ!.. იცით, ჩვენ განვიხილავთ თქვენს წერილს და ტყავს გაგაძრობთ!..

ეტყობა, ეს ზარი ფოცხოდან არ იყო!

მეორე ზარი დღის პირველის ნახევარზე გაისმა.

— ფილფანი მინდოდა, სქანი გოლუაფირო!..

— ფილფანი არ გახლავთ... გისმენთ, რამ შეგაწუხათ?

— შემაწუხა კი არა, თქვენ გაიხარეთ, შვილო, ჩვენი საწუხარი ასე გულთან რომ მიგიტანიათ...

— მადლობთ, ქალბატონო, თქვენს გასაჭირზე კიდევ ბევრჯერ დავწერთ, კვლავ ამოგიდგებით მხარში, ეს თუ რამეს გიშველით!

— რავა არ გვარგებს, შვილო!.. გამხნევებაც იმედია ჩვენი... თქვენ გაიხარეთ თქვენს ცოლ-შვილში!..

„ტუ-ტუ-ტუ“ — ვერ გაუძლო „ჯეოსელმა“.

მესამე ზარი პირველ საათზე გაისმა.

— გამარჯობათ, ძმებო!

— გამარჯობათ!

— მინდა მადლობის წერილი და „ფაქტები“ გამოგიგზავნოთ!

— კი, ბატონო, მაგრამ მანამდე, იქნებ ახლავე გვითხრათ სათქმელი!..

— ბიჭო, ამ ევრორემონტიან, შესანიშნავ ბინებში რომ ჩაგვყარეს ეს ლტოლვილები, სხვა საარსებო პირობები არ გვინდოდა ვითომ?

— კი, გინდათ!

— აბა, რად მოდიან ეს ჩვენი მინისტრები და გუბერნატორები თუ გამგებლები და გარემონტებულ ბინებს გვაყვედრიან?.. ერთი გაგვაგებინეთ, ტურისტები ხომ არა ვართ?

„ტუ-ტუ-ტუ“ — ახლა, „მაგთიმ“ ვერ გაუძლო.

მეოთხე ზარი ორს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, მაშინ გაისმა.

— ალო, ალო!.. გენაცვალე, გესმით ჩემი?

— დიახ, დიახ, ბატონო!

— ფოცხოდან გირეკავთ, ფოცხოდან! — ძალიან შორიდან ისმოდა ხმა. გაწყდა.

ოთხის ნახევარზე მეხუთე ზარმა შეგვაფიქრიანა.

— ალო, ალო, რედაქციაა? — კითხულობდა გაწიწმატებული ქალბატონი.

— დიახ, ქალბატონო, დიახ... რა მოხდა?.. რედაქციაა, რედაქცია!..

— ჩამოდით, დღესვე ჩამოდით და ნახეთ, როგორ გვავიწროვებენ ეს ჩვენი ცოდვით სავსენი, ვინ მოგცათო პრეტენზიის უფლება!.. ვინ ხართო, დაგვცინიან... გაგიგონიათ ასე აბუჩად აგდება?.. გეტოში რომ ვიყოთ, ისა სჯობს ასეთ ყოფას!..

— დიახ, დიახ, ქალბატონო, აუცილებლად ჩამოვალთ!.. ნუ ღელავთ, თქვენ უპატრონოები კი არა, სისხლხორციელი ქართველები ხართ და უნდა იამაყოთ ამით!..

არ ვიცი გაიგო თუ არა იმ ქალბატონმა ჩვენი „ჩაძახილი“, ისე ჩქარა გაწყდა ეს ზარიც!

მეექვსე ზარი მაშინ დაირეკა, როცა ექვსს 10 წუთი აკლდა.

— შვილო, რედაქციაა?..

— დიახ, ქალბატონო!

— თქვენმა წერილმა ერთი სევდიანი ლექსი დამაწერინა მადლობის ნიშნად და შეიძლება გამოგიგზავნოთ?

— რა თქმა უნდა! ოღონდ, ქალბატონო, ის გვაკვირვებს, ასე ჩქარა როგორ ღებულობთ ჩვენს გაზეთს ფოცხოში, ვერ გვეტყვით?

— ჩვენი კაცი გვყავს თბილისში და ის გვიგზავნის მატარებლით... ზუგდიდშიც კაცი ხვდება, აბა!..

იმ ღამეს ჩვენმა სარედაქციო ტელეფონმა კიდევ რამდენიმე ზარი აღნუსხა, „მაგთიფიქსის“ ნომრები იყო!

კიდევ ერთი ზარი ჩემს პირად ნომერზე გაისმა.

— გამარჯობა!

ვიცანი.

— გაგიმარჯოს!

— მიცანი, ალბათ... არ გინდა ახლა ჩემი სახელის ხსენება, თორემ ხომ იცი, ხვალვე არ ვიქნები ჩემს თანამდებობაზე. მართალია, მე სულ სხვა საქმეს ვკურირებ გუბერნიაში, მაგრამ!.. მოკლედ, წავიკითხე შენი „ფოცხო-გეტო“!.. აბსოლუტურად სწორი ხარ!.. რაღა ფოცხოში ჩაყარეს ეს ხალხი?.. ფოცხო ტურისტული მიზნებისთვის არის შესანიშნავი ბაზა... ლტოლვილებისთვის იქვე, ხუდონისა და წყაბაშის ნასოფლარებზე აეშენებინათ სახლები, ხუდონში და წყაბაშში ხომ დღესაც შემონახულია ნაეზოვრები, ხეხილითა და ვაზით, საყანე ფართობები და ახოები... ხომ შეიძლებოდა იქ ჩაგვესახლებინა ეს ხალხი?.. სოფელიც გაცოცხლდებოდა და ხალხიც დასაქმდებოდა!.. ესეც, რომ არ იყოს, წალენჯიხის რაიონში ვიღაც უცხოელებს რომ მიჰყიდეს ტყეები და მიწის ფართობები თხილის გასაშენებლად, ჩვენს ხალხს არ შეეძლო თხილიც და კაკალიც თვითონ გაეშენებინა?.. რომელი სახელმწიფო კანონია ეს?.. ფული კეთილი გზით აკეთონ ამ დალოცვილებმა! კარგია, რომ ეს საკითხი წამოჭერი... მალე გნახავ და იქ ვისაუბროთ დანარჩენზე!..

— სიამოვნებით!.. ჩამოდი, გელოდებით!

...და ჩვენ, კვლავ ველოდებით იმ ზარებს, საქმიან წინადადებებსა და მადლიერების ლექსებს.

მანამდე კი, მინდა ყოველმა მათგანმა იცოდეს, — ჩვენ ყოველთვის მათ გვერდით ვიქნებით!

საოცარი კი ის იყო, რომ არ გვეგონა ასე ჩქარა თუ ჩააღწევდა ჩვენი ხმა მკითხველამდე და, ისიც ასე შორს, მთებში არწივის ბუდესავით ჩაკარგულ ფოცხოში!

**ზაალ ფილფანი**

◎ ინფორმაცია

## მკვლელობის საქმეში ახალი გარემოებები გამოიკვეთა

**ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმეში ოთხი წლის შემდეგ ახალი გარემოებები გამოიკვეთა. გამომძიებლებმა აღმოაჩინეს ადგილი, სადაც დამზადდა პისტოლეტი, რომლიდანაც ჟურნალისტი მოკლეს. ამასთან დაკავშირებით, გამოძიება აღნიშნული საქმის ერთ-ერთი ფიგურანტის განმეორებით დაკითხვას აპირებს. ეს რუსეთის შს სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი სერგეი ხაჯიკურბანოვია, რომელიც ადრე გამოძალვისათვის იყო ნასამართლევი. ინფორმაციას ამის შესახებ „როსიისკაია გაზეტა“ ავრცელებს.**



**იატაკქვეშა საამქრო სადაც იარაღს ამზადებდნენ, მოსკოვის გარეუბანში აღმოაჩინეს. იგი ვაგონსარემონტო ქარხნის ტერიტორიაზე იყო განლაგებული. იქ ნაპოვნია დაზგა, რომელიც ექსპერტიზის მონაცემებით, გამოყენებული იყო იმისათვის, რომ საბრძოლოდ გადაეკეთებინათ გაზის პისტოლეტი „იჟ“-ი რომლიდანაც ანა პოლიტკოვსკაია მოკლეს.**

**გამოძიება არ გამორიცხავს, რომ ყოფილ მილიციელს ამ იატაკქვეშა საამქროსთან კავშირი ჰქონდეს. გამოძიება ასევე მიიჩნევს, რომ „მან შეიძლება იცოდეს ვინ და რა იარაღზე მისცა შეკვეთა არა მხოლოდ ქურდული „პახანების“, არამედ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობისთვის“.**

**სამართალდამცავები ასევე არ გამორიცხავენ, რომ ხაჯიკურბანოვს შეიძლება ასევე კავშირი ჰქონდეს ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტის მიხეილ ტიშინის მკვლელობასთან. შესაძლოა ეს მკვლელობა იმავე ქილერმა ჩაიდინა, რომელმაც ანა პოლიტკოვსკაია მოკლა.**

**აღსანიშნავია, რომ ყოფილი მოსკოველი სამართალდამცავი ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმის ფიგურანტი იყო, მაგრამ იგი და სხვა ეჭვმიტანილები 2009 წლის ზამთარში ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს. ამის მიუხედავად, სერგეი ხაჯიკურბანოვი მაინც გაასამართლეს სულ სხვა საქმეზე. მიმდინარე წლის თებერვალში სერგეი ხაჯიკურბანოვს მოსკოვის ტაგანსკის სასამართლომ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ანა პოლიტკოვსკაიას საქმეში მთავარი მოწმისათვის გამოძალვის ფაქტზე.**

**ანა პოლიტკოვსკაიას საქმეში აღმოჩენილი ახალი გარემოებების გამო ხაჯიკურბანოვი რამდენიმე დღის წინათ მორდოვის კოლონიიდან მოსკოვში „მატროსსკაია ტიშინას“ იზოლატორში გადაიყვანეს. ანა პოლიტკოვსკაიას საქმეს გამომძიებელი პეტროს გარიბიანი იძიებს.**

**ამასთან ერთად, „ნოვაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორი დიმიტრი მურატოვი მიიჩნევს, რომ მისი აზრით, ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის გამოძიების საქმე ძალიან ნელა მიდის.**

**შეგახსენებთ, რომ ანა პოლიტკოვსკაია 2006 წლის 7 ოქტომბერს თავისი სახლის სადარბაზოში მოკლეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ „არტისტერიუმი“

# თბილისის ბიოგრაფში 100 წლისაა

**თბილისის თანამედროვე ხელოვნების მესამე საერთაშორისო გამოფენა და სიმპოზიუმი „არტისტერიუმი“ წარმატებით მიმდინარეობს, „არტისტერიუმის“ ორგანიზატორები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ასოციაცია „არტისტერიუმი“, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, გოეთეს ინსტიტუტი, ფონდი „კულტურის და ხელოვნების გლობალური კოორდინირების ცენტრი“.**

დღეს საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და კულტურული გარემო აუცილებელს ხდის ქართული ხელოვნების მრავალმხრივ წარმოჩენას მსოფლიოს კულტურულ, სახელოვნებო სივრცეში და ამ სივრცის საქართველოსთან დაახლოებას.

„არტისტერიუმი“ თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა და სიმპოზიუმი, მრავალფუნქციური კულტურული ღონისძიებაა, რომელიც ეფუძნება პროფესიონალიზმსა და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის გამოცდილებას.

სახელწოდება წარმოსდგება თბილისში გასული საუკუნის 10-იან წლებში, ჟურნალ „არს“-თან არსებული კლუბის სახელწოდებიდან. კლუბი ცნობილი იყო თანამედროვე ინოვაციური გამოფენებით, პოეზიის საღამოებითა და დისკუსიებით. სახელწოდება აკავშირებს თანამედროვე ხელოვნებას თბილისურ მოდერნიზმთან და საკუთარ ფესვებთან.

„ქარვასლის“ ოთხივე საგამოფენო დარბაზი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 30 მხატვრის ნამუშევრებს ეთმობა, ხოლო ამერიკელებმა ჯგუფური ნამუშევრები გამოფინეს, რაც გამოფენის მასშტაბურობას ცხადყოფს.

პროექტში მონაწილეობენ: დიდი ბრიტანეთი, აშშ, გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია, შვეიცარია, პოლონეთი, ნორვეგია, არგენტინა, თურქეთი, სამხრეთ კორეა, ჩინეთი, ირანი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ირლანდია, ავსტრია, იტალია, ისრაელი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ლუქსემბურგი, პორტუგალია, საბერძნეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, შვედეთი, ახალი ზელანდია, კვიპროსი.

**ნატა ნიბლაძე,**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.









რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს პატრიარქი უცხოეთში ბავშვების სწავლების წინააღმდეგია



**ქართული ეკლესიის მეთაურმა განაცხადა, რომ უცხოეთში სწავლამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ქართველ ბავშვებს. ილია მეორის განცხადება ბევრმა პროდასავლური მთავრობის მისამართით კრიტიკად მიიჩნია**

„ქართველები თავიანთ შვილებს, მცირეწლოვანებს აგზავნიან უცხოეთში სასწავლებლად. სანამ ადამიანი სულიერად, კულტურულად ვერ ჩამოყალიბებულა, მიდის სრულიად სხვა ქვეყანაში. ხშირად ამას ზიანი მოაქვს ბავშვისთვის“, — თქვა საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ.

თავისი განცხადება საქართველოს პატრიარქმა გააკეთა საკვირაო ქადაგების დროს, როდესაც საქართველოს მოსახლეობის ემიგრაციის პრობლემებზე საუბრობდა. ილია მეორის სიტყვებით, ქართველების თითქმის ნახევარი უცხოეთშია და არ არის იმის რწმენა, რომ წასულები დაბრუნდებიან სამშობლოში.

„ერთი ლუკმა პურისთვის კაცმა არ უნდა დატოვოს საქართველო, თავისი სამშობლო. ასეთი ადამიანი უფრო მეტს კარგავს, ვიდრე იძენს“, — განაცხადა ილია მეორემ.

ჰოლანდიაში ვებსტერის უნივერსიტეტის მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტს ანა ჭიჭინაძეს იმედი აქვს, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გარკვეული დროით დარჩება ევროპაში.

„მე ვიცი, რომ ასეთი განათლებით მაქვს შანსი მოვნახო სამუშაო საქართველოში. შეიძლება ეს არაპატრიოტულად ჟღერდეს, მაგრამ მე მაინც მინდა დავრჩე აქ კიდევ სულ მცირე რამდენიმე წლით მაინც“, — ამბობს ანა.

ანას სიტყვებით, „ცოდნა — ეს ერთადერთი შენაძენი როდია ერთი წლის განმავლობაში, რომელიც ჰოლანდიაში გავატარე. შემეცვალა დამოკიდებულება როგორც ცხოვრებისადმი, ისე რელიგიისადმი“.

„აქ ხალხი ცდილობს იყოს ლიბერალური, იყოს უფრო მომთმენი და თავისუფალი აზროვნებაში. მე არ ვარ ათეისტი, საქართველოშიც ვეწეოდი სულიერ ცხოვრებას, მაგრამ ამისთვის საჭიროა ხალხის რელიგიური გარემო, აქ კი ასეთი რამ არ არის. ჩვენ ვსწავლობთ ხალხთან, რომლებიც მსოფლიოდან არის აქ ჩამოსული და თუ ვსაუბრობთ რელიგიაზე, ეს უკვე დისკუსიაა. საქართველოში ჩვენ ყოველივე ამისგან შორსა ვართ“, — ამბობს ანა.

ექსპერტების სიტყვებით, პატრიარქის განცხადებამ, რომელიც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ნდობით სარგებლობს, ძნელად რომ შეასუსტოს მისწრაფება დასავლური განათლებისკენ, რასაც ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარმატებული კარიერის საფუძვლად მიიჩნევს.



განათლების სისტემის რეფორმის ფონზე საქართველოს ეკლესიის მეთაურის განცხადება ბევრმა აღიქვა, როგორც საყვედური საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტ სააკაშვილის მისამართით, რომლებიც იღვწიან ინგლისური ენისა და დასავლური განათლების დანერგვისთვის ქვეყანაში.

საქართველოს დაახლოებით 100 სტუდენტი ღებულობს სახელმწიფო სტიპენდიას ევროპის უნივერსიტეტებში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რომლის ინიციატორიც არის პრეზიდენტი 2005 წლიდან. ამავე დროს ათასზე მეტი ინგლისურენოვანი მოხალისე მიმდინარე წელს ქართველ მოსწავლეებს შეასწავლის ინგლისურ ენას.

პროექტის მიზანი, თავად სააკაშვილის სიტყვებით, არის ის, რომ უკვე რამდენიმე წლის შემდეგ ქართველმა მოსწავლეებმა ილაპარაკონ ინგლისურად, ესე იგი, ინგლისური გახდეს მეორე ენა ქართულის შემდეგ.

მაგრამ, პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის სიტყვებით, ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ ასაკში მიდის კაცი სასწავლებლად უცხოეთში. როდესაც დაბრუნდება, მან შეიძლება ან გაამდიდროს ეროვნული კულტურა, ან ადრეულ ასაკში ჩვეულებრივი გარემოსგან მოწყვეტილი უცხო აღმოჩნდეს საკუთარ ქვეყანაში.

BBC RUSSIAN.com

# პუტინურად



**გავიდა ორ წელზე მეტი რუსეთსა და საქართველოს შორის მძვირვარე და ელვისებური ომის შემდეგ და ქვეყნებმა ერთმანეთთან დადეს „ცივი ზავი“. მაგრამ ეს ზავი ძალიან მყიფეა, მხარეები კი — გაბოროტებული. რუსეთი სულ უფრო ძლიერ და ძლიერ გავლენას ახდენს აფხაზეთზე, სამხრეთი ოსეთი კი პრაქტიკულად მან გადაყლაპა. ოფიციალური თბილისი მიიჩნევს, რომ რუსეთმა მოახდინა მისი ტერიტორიის ოკუპაცია და უკიდურესად აღშფოთებულია, რომ მოსკოვი, მისი აზრით, ძალოვანი მეთოდებით ახდენს ზემოქმედებას თავის უახლოეს საზღვარგარეთში, საკუთარ ქვეყანაში კი იგი ავტორიტარულია**

ამის გამო კიდევ უფრო სასაცილოა, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი — რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის აშკარა მტერია, — როგორც ჩანს, სერიოზულად განიხილავს შესაძლებლობას, განახორციელოს ისეთივე ტრიუკი — პოლიტიკური სიეშმაკე, როგორიც მისმა მეტოქემ მოსკოვში. ამ სცენარის თანახმად, სააკაშვილი აიძულებს საქართველოს შეიტანოს კონსტიტუციაში ცვლილებები, რაც მას საშუალებას მისცემს უარი თქვას პრეზიდენტობაზე, პრემიერის სტატუსის მიღების სანაცვლოდ უფლებამოსილებათა მკვეთრი გაფართოებით, მაშასადამე — დარჩება ხელისუფლების სათავეში 2013 წლის შემდეგაც, როდესაც თავდება მისი უფლებამოსილების მეორე ვადა.

ამ ხმების მთავარი ხმების საფუძველი გახდა სააკაშვილის მიერ 2009 წლის გაზაფხულზე დაწყებული საკონსტიტუციო რეფორმის მომზადების პროცესი. როდესაც ამტკიცებდა, რომ სურს დაძლიოს ანტაგონიზმი, რომელიც წარმოიქმნა მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის და გაღრმავდა 2007 წლის ნოემბერში, როდესაც ძალის გამოყენებით დაარბიეს ანტისამთავრობო დემონსტრაცია, პრეზიდენტმა დააყენა წინადადება შექმნილიყო პარტიათაშორისი საკონსტიტუციო კომისია. მისი ამოცანა იქნებოდა კონსტიტუციაში ცვლილებების მომზადება, იმ კონსტიტუციაში, რომელიც თავად სააკაშვილმა მიიღო 2004 წელს და რომელმაც დიდი უფლებები პრეზიდენტის ხელში მოაქცია. მაგრამ ოპოზიციონერების უმრავლესობამ უარი თქვა ამ პროცესში მონაწილეობაზე და მასში დაინახა სააკაშვილის მცდელობა — შეექმნა კონსენსუსის იდილია იმ დროს, როდესაც იგი არ არსებობს.

ოპოზიციის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, დაეთმო პოლიტიკური ბრძოლის არენა სააკაშვილისთვის პარლამენტის უდიდეს უმრავლესობასთან ერთად, მისცა პრეზიდენტს შესაძლებლობა შეეცვალა თამაშის წესები ისე, როგორც ეს მას სურდა. შეთავაზებული რეფორმების არსი საშუალებას იძლევა გავიგოთ მისი გეგმები სამომავლოდ. ახალი შესწორებების თანახმად, პრემიერ-მინისტრი ღებულობს არსებითად გაფართოებულ უფლებამოსილებას საგარეო და საშინაო პოლიტიკის სფეროში და, ფაქტობრივად, ხდება სახელმწიფოს გენერალური დირექტორი — პრეზიდენტის ხარჯზე, რომელიც ინარჩუნებს სახელმწიფოს მეთაურისა და უმაღლესი მთავარსარდლის როლს. პარლამენტს კი, რომელიც ამჟამად პრაქტიკულად უუფლებოა, ენიჭება ახალი უმნიშვნელო უფლებამოსილებანი. შეთავაზებული ცვლილებანი გადაეცა პარლამენტს განსახილველად სექტემბერში და, როგორც ელოდებიან, ისინი მიღებული იქნება ოქტომბრის ბოლომდე მიუხედავად ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგობისა.

ოპოზიციონერებს აქვთ მიზეზი შეშფოთებისა. მართალია, უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში განხორციელდა დიდი ხნის წინათ მომწიფებული ზოგიერთი რეფორმა, სააკაშვილი ხშირად იკეთებდა დემოკრატის ნიღაბს. მაგალითად, მიუხედავად ყველა საუბრისა სასამართლო სისტემის რეფორმირების აუცილებლობის შესახებ მას აკრიტიკებდა ყველა მეგობრული სახელმწიფო, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები, უუნარობის გამო გადასულიყო სიტყვიდან საქმეზე. აღმასრულებელი ხელისუფლება ანალოგიურად გამოთქვამდა აზრს პრესის თავისუფლების მხარდასაჭერად, თავად კი 2007 წელს ძალის გამოყენებით დახურა ოპოზიციური ტელეარხი „იმედი“. მას შემდეგ ქვეყანაში არ მოქმედებდა არც ერთი მთლიანად დამოუკიდებელი და მთელს ქვეყანაში მაუწყებელი ტელეარხი.

FP Foreign Policy

## დედამიწის ზურგზე



**ნობელის ლაურეატ ანდრეი გეიმი, რომელმაც ბაყაყს ფრენა ასწავლა, „შნობელის“ წინამორბედი აღმოაჩნდა**

რუსეთელმა ლაურეატმა, რომელიც დიდ ბრიტანეთში მუშაობს, პრემია მიიღო გრაფენის აღმოჩენისთვის — ეს არის წყალბადის ერთი მოლეკულის სისქის საფარი. 10 წლის წინათ მან დაამუშავა ბაყაყის ჰაერში ჩამოკიდების მექანიზმი მაგნიტის დახმარებით. უფრო ადრე ნობელის პრემიაც და შნობელის პრემიაც მიიღო მეცნიერმა ბარტ კნოლამ.

**ლვოვში ცირკის არენაზე ვეფხვი მომთვინიერებელს თავს დაესხა**



ცხოველმა მამაკაცს დაუგლიჯა ხელი, ფეხი და მუცელი. სპექტაკლი შეწყდა, მომთვინერებელი ჰოსპიტალიზებულია, მაყურებელი კი დარბაზიდან გამოიყვანეს. ამ დროს ერთ-ერთმა ლომმა შეძლო გარეთ გამოსვლა. მომთვინიერებლებმა განმარტეს, რომ თავდასხმა მოახდინა ჯგუფის „მთავარმა“ მხეცმა.

**პასეს დეპუტატებმა უკრაინასთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღეს**



მონიტორინგული კომიტეტი შეშფოთებულია, რომ ამჟამინდელი პოლიტიკური სტაბილურობა უკრაინაში „არის მყიფე, ვინაიდან წინა წლების არასტაბილურობის სისტემატურმა მიზეზებმა გადაწყვეტა ვერ მოიპოვეს“.

**სტოკჰოლმში ნობელის პრემიის ლაურეატს ქიმიაში დაასახელებენ**

ექსპერტები პრემიას უწინასწარმეტყველებენ რამდენიმე აღმოჩენის ავტორს. ეს არის ცალკეული მოლეკულის სპექტრომეტრი ამერიკელი უილიამ მერნერი, რომელმაც ჯილდო შეიძლება გაიყოს „შინასავარსკვლავო ქიმიის“ დარგში მომუშავე უილიამ კლემპერერთან და რიჩარდ ზართან, ან ელექტროქიმიური მიკროსკოპის სკანირების შემქმნელმა ალენ ბარდთან.

**2002 წლიდან 260 ათასმა ჩინელმა ამერიკის მოქალაქეობა მიიღო**



საშუალოდ 2005 წლიდან ამერიკის მოქალაქეობას ყოველწლიურად ღებულობს დაახლოებით 30 ათასი ჩინელი. პიკი მოდის 2008 წელზე, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 40 ათასზე მეტმა ყოფილმა მოქალაქემ. შარშან მათმა რიცხვმა შეადგინა 37 ათასი. საკითხის გადაწყვეტას ისინი ელოდნენ შვიდ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

**თბილისის №19 საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს შენობის ფართების იჯარის ფორმით გადასაცემად**

1. 142 და 102 კვ.მ. ფართი სპორტული დარბაზები დღის II ნახევარში ქორეოგრაფიული და სპორტული ჯგუფებისათვის.
2. ღია სპორტული მოედანი.
3. 40 კვ.მ. მოსამზადებელი ჯგუფებისათვის 4-5-წლიანები.

საათობრივი გაანგარიშება 1 კვ.მ. საწყისი საკონკურსო ფასია 3 დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

განცხადების მიღება იწარმოებს გამოქვეყნებიდან 1 თვის განმავლობაში №19 სკოლის დირექციაში.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:
თბილისი, ქუთაისის ქ. №20. ტ. 34-05-45, 34-75-89.

**განცხადება**

ქ. თბილისის 90-ე საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს უზუფრუქტის ხელშეკრულებით გაფორმებული სკოლის შენობის 15,60 კვ.მ. ფართის იჯარით გასაცემად ბუფეტის ფუნქციონირებისათვის. საჯარო ურთიერთობის ვადა შეთანხმებით.

მინიმალური თვიური გადასახადი შეადგენს 50 დოლარის ეკვივალენტს ლარებში.

განცხადების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნებიდან 1 თვის განმავლობაში.

მისამართი: ვაზისუბნის დასახლება, დ. კვაჭანტირიძის ქ. №2.
საკონტაქტო ტელეფონი: 79-98-72. 898 27 05 73

## ჩვენი ბიბლიოთეკა

და მივხვდი, რომ იმასაც რაღაც ამისდამაგვარი შეგრძნება ჰქონდა. დამაყარა, მაგრამ რა დამაყარა კითხვები. ლაპარაკის დამთავრება აშკარად არ უნდოდა. რაკი წასასვლელად აჩქარება შემატყო, ენად გადაიქცა. აღარ გაჩერდა, მთელი თავისი თავგადასავალი გაიხსენა და ჩემგანაც იმასვე ითხოვდა. რაღა ბევრი გავაგრძელო, თვალებით მეუბნებოდა, რომ ვესურვილებოდი და ვენიაზებოდი, თუმცა იმჟამად თითქმის ორჯერ მეტი ხნისა ვიყავი, ვიდრე შენა ხარ ახლა.

მაგრამ გაზაფხული იდგა, ჰაერში განახლების სურნელი ტრიალებდა და თავი კვლავ ახალგაზრდად ვიგრძენი. აქ, ჩვენს შემოგარენში, ერთი ყვავილია, რომელიც წელიწადში ოდენ ერთხელ ყვავის, შემოდგომაზე, მეც სწორედ იმ ყვავილად ვიქეცი. როცა მეგონა, ჩემი ცხოვრება უკვე მოვჭამე-მეთქი, როცა ჩემი ჭკუით უკვე დავიშემოდგომე, სწორედ მაშინ გამოჩნდა ეს კაცი ამ კიბესთან მხოლოდ იმიტომ, რათა ცხადლივ ეჩვენებინა ჩემთვის, რომ არარა გრძნობა, თვით სიყვარულის ჩათვლით, არა ბერდება ხორცთან ერთად. გრძნობები ჩემთვის იდუმალი რამ სამყაროს ნაწილს შეადგენენ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ქვეყნიერებაზე არც დროა, არც სივრცე, არც საზღვრები.

დედა გაჩუმდა. მზერა კვლავინდებურად იქით ჰქონდა მიპყრობილი, სადაც ის გაზაფხული დარჩა.

– ვიჯექი, დედა გენაცვალოს, და იმხნის ქალი თავს პატარა გოგოდ ვგრძნობდი. თანაც კვლავ სასურველად. იმას არაფრით არ უნდოდა ჩემი წასვლა. არც მე მინდოდა, რომ გაჩუმებულიყო, მაგრამ უცებ ხმამ უმტყუნა. თვალებში ჩამხედა, გამიღიმა. თითქოს მიმიხვდა, რასაც ვფიქრობდი, და ჩემი ნაფიქრის პასუხად სათქმელი უხმოდ, სიტყვების წარმოუთქმელად მითხრა: არა, არ შემცდარხარ, შენ მართლაც მრავლისაღმთქმელად მომევლინეო. ცოტა ხანს ორივენი ვდუმდით. მერმე დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მექანიკოსი კიდევ არა ჩანდა.

რამდენიმე დღე სულ იმის ფიქრში ვიყავი, ის კაცი ნამდვილი ადამიანი იყო თუ უფალმა ანგელოზი გამოგზავნა, რათა ცხოვრების საიდუმლო გაკვეთილთ ვზიარებოდი-მეთქი. ბოლოსა და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ის მაინც ადამიანი იყო. ადამიანი, რომელსაც ვუყვარდი – მერე რა ვუყოთ, თუ მხოლოდ სულ რამდენიმე საათს მეგრძნობიერებოდა. სამაგიეროდ იმ რამდენიმე საათში მან მოასწრო და, თუ რამ მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე გადაენახა, უშურველად გადმომცა ყველაფერი: თავისი ბრძოლა, თავისი სუყველა ცათაფრენა და სუყველა დაცემა, თავისი სიძნელენი, თავისი ოცნებანი. ის გაზაფხულის დღეც იმან მაჩუქა თავის მსმენელს, თანამოსაუბრეს, თანამავალს, ცოლს, შეყვარებულს. სულ რამდენიმე საათში მთელი ჩემი ცხოვრების სიყვარულის განცდა შევძელი.

Დედა ქალიშვილს უმზერდა. ნეტავი ყველაფერს მიხვდეს, რა რისთვის ვუამბეო, ფიქრობდა და გულის სიღრმეში შეეგნო, რომ ბრიდა რომელ სამყაროშიც ცხოვრობდა, იქ ასეთი სიყვარული აღარ იცოდნენ.

– მამაშენის სიყვარული არცროდის ოდნავადაც არ გამნელებია. ის მუდამ ჩემ გვერდით იყო, თუ რამე საუკეთესო ჰქონია, არცრა ჩემთვის არ დაუნანებია, და მეც ჩემი სიცოცხლის ბოლომდე იმასთან ყოფნა მინდა. მაგრამ ადამიანის გული თავისი საიდუმლო კანონებით ცხოვრობს, და ვერც ვერასოდეს შევძლებ იმის გაგებას, რა მოხდა მაშინ ამ კიბის ძირას. ცოდნით მარტო ერთი რამ ვიცი: იმ შეხვედრამ ბევრად მეტი ნდობა შემძინა საკუთარი თავის მიმართ. დამარწმუნა, რომ ჯერ კიდევ შემეძლო როგორც ვისიმე შეყვარება, ისე ვისიმე გულში ჩავარდნა. და ისეთი რამე მასწავლა, რასაც სიცოცხლეში ვერ ვიგულმავიწყებ: მივხვდი, რომ როცა შენს ცხოვრებაში რაღაც მნიშვნელოვანი ხდება, ეს სულაც იმას არ ნიშნავს, ყოველივე დანარჩენს დაეუარო და განუდგე.

ხან მაინც ვიგონებ ხოლმე იმ არქეოლოგს. ნეტავი მაცოდინა, სად არის ახლა, მიაგნო თუ არა, რასაც ეძებდა, ცოცხალია თუ სული უკვე ღმერთს მიაბარა. დარწმუნებული ვარ, ის აღარასოდეს არ დაბრუნდება – და მხოლოდ ამიტომ შემეძლო, რომ ასეთი ძალით მყვარებოდა და ის სიყვარულიც ამიტომ მეჯერა. რადგან დაკარგვითაც უკვე ველარ დავკარგავდი ვეღარასოდეს – იმ დღით ის განუყოფლად მე მეკუთვნოდა.

დედა წამოდგა:

– დროა, წავიდეთ, თორემ კაბას ვეღარ მოგისწრებ.

– მე კიდევ ცოტა ხანს ვიჯდები.

დედა მიუახლოვდა და ნაზად აკოცა:

– მადლობელი ვარ, აგრე მოთმინებით რომ მისმენდი. შენ პირველი ხარ, ვისაც ეს ამბავი ვუთხარი. მეშინოდა, რომ ჩემშივე მოკვდებოდა, ჩემთან ერთად დაიმარხებოდა და აღიგვებოდა პირისაგან მიწისა, როცა მე აღარ ვიქნებოდი. ახლა უკვე შენ შეინახავ.

Ბრიდა კიბეს აუყვა, ეკლესიის კართან შეჩერდა. მომცრო, მომრგვალო მოხაზულობის საყდარი, რომელიც ადგილობრივ ღირსშესანიშნაობად ითვლებოდა, მხარეში ქრისტიანობის ერთ-ერთი პირველი სიწმინდე იყო, და იმის მოსახილველად ყოველწლივ ჩამოდიოდნენ მეცნიერები და ტურისტები. V საუკუნის პირვანდელი ნაგებობიდან უკვე ბევრი აღარაფერი იყო გადარჩენილი, იატაკის რამდენიმე მონაკვეთის გარდა. თუმცაღა, ყოველი ნგრევის შემდეგ რაღაცა მაინც რჩებოდა, ასე რომ ერთი ეკლესიის მაგალითზე მნახველთ იმის თვალის გადევნება შეეძლოთ, თუ როგორ იცვლებოდა ესა თუ ის სტილი.

ეკლესიიდან ორგანის ხმა გამოდიოდა, და ბრიდა სმენად იქცა. ამ საყდარში არცრა გაუგებარი არ იყო და არცრა აუხსნელი, ცამყარსაც თავისი ადგილი სწორედ იქ ეჭირა, სადაც უნდა სჭეროდა, და ადამიანს, ვინც ზღურბლს გადააბიჯებდა, უკვე არც არაფერზე არ უნდა ეღელვა. აქ ვეღარ აღწევდნენ ის იდუმალი რამ ძალები, გარეთ სიკვდილის შვილთ თავს რომ დასტრიალებდნენ, აქ არც ღამის წყვდიადი არ სუფევდა, შეცნობას არა, მაგრამ რწმენას რომ ითხოვდა. უკვე კარგა ხანი იყო, რაც აღარავინ კოცონებზე არ ლაპარაკობდა, და მთელი მსოფლიოს რელიგიები ისე შესთვისებოდნენ ერთმანეთს, ვითომც მოკავშირენი ყოფილიყვნენ, და ადამიანს კვლავ




ღმერთთან აერთებდნენ. მხოლოდ ბრიდას სამშობლო იყო, როგორც ჩანს, გამონაკლისი: ქვეყნის ჩრდილოეთში სარწმუნოების საკითხთა გამო ჯერ კიდევ იღვრებოდა სისხლი. თუმცაღა, ესეც რამდენიმე წელიწადში, ალბათ, უნდა დამთავრდეს; ღმერთი თითქმის სრულიად ახსნილ-განმარტებული იყო, ღმერთი, ანუ სულგრძელი მამა, რომელიც სუყველას ერთნაირი წყალობის თვალით დასცქერის.

„მე კუდიანი ვარ", – თქვა ბრიდამ გულში, თან საყდარში შესვლის ცდუნებას ებრძოდა, რაც სულ უფრო უძლიერდებოდა. ის ახლა სხვა ტრადიციას მისდევდა და, თუმცა ღმერთი იგივე რჩებოდა, მაგრამ საყდრის ზღურბლს თუ გადააბიჯებდა, საყდარსაც შებღალავდა და თვითონაც შეიბღალებოდა.

და ეცადა, რომ ამაზე აღარ ეფიქრა, სიგარეტს მოუკიდა, ცისკიდურს გახედა. თანდათან დედის აზრებზე გადაერთო, მთელი გულისყური იმის ნალაპარაკებზე გადაიტანა. და უმალ შინ გაქცევა მოუნდა, რათა დედის მხარზე მიედო თავი და ეთქვა, რომ ორ დღეში ჯადოქრად დიდი ხელდასხმის წეს-ჩვეულებას ეზიარებოდა, რომ უკვე იმოგზაურა დროში, რომ ჩასწვდა სექსის ძალას, რომ მარტო მთვარის ტრადიციის შეწევნით ძალუძს იმის მიხვედრა, თუ რა არის მაღაზიის ვიტრინაში გამოფენილი. ახლა ყველაზე მეტად ალერსი და გაგება ეჭირვებოდა, რადგან თვითონაც ინახავდა გულში ისეთ ამბავთ, რომელთა განდობაც არავისთვის არ შეიძლებოდა.

ორგანი მიჩუმდა, და კვლავ მისწვდა ყურს ქალაქის გნიასი, ფრინველთა ჭრინვა, ქარის წუილი, რომელი ქარიც ხეებს უკვე კვირტიან ტოტებს ურხევდა და გაზაფხულის მალე მოსვლას იუწყებოდა. ეკლესიის უკანა კარი გაიღო და დაიხურა – ვიღაც გავიდა. ბრიდამ წამიერად წარსულში გადაინაცვლა, თავი კვლავ ისე იგრძნო, როგორც თავისი ბავშვობის ერთ-ერთ რომელსამე კვირადღეს, როცა ეკლესიაში გული უწუხდა ხოლმე, რადგან მესას დამთავრებას ბოლო არ უჩანდა, არადა სული მისდიოდა სადმე მინდორში სარბენად და სანავარდოდ. ეს კი მარტო კვირადღეს იყო შესაძლებელი.

„უნდა შევიდე". დედა, რასაკვირველია, გაუგებდა, რა გრძნობათაც განიცდიდა, მაგრამ ის ახლა გვერდით არა ჰყავდა. წინ შანდაკად დარჩენილი ეკლესია იყო. არა, უიკასთვის არცროდის არ უკითხავს, მაინც რა როლს თამაშობს ქრისტიანობა იმ ყველაფერში, რაც ჩემს თავს ხდებაო. და ეგონა, რომ საყდრის ზღურბლს თუ გადააბიჯებდა, კოცონზე დამწვარ თავის უამრავ დას უღალატებდა.

„მეც აკი დამწვეს კოცონზე", – თქვა მან თავისთვის. და ის ლოცვა წამოაგონდა, უიკამ კუდიანთა მარტვილობის კეთილად ხსენების დღეს რომ წაიკითხა. იმ ლოცვაში მან ქრისტე და ქალწული მარიამი ახსენა. და ახლაც ყურში ჩაესმოდა, სიყვარული ყველაფერზე უფრო მაღლა იყოო, სიყვარულმა სიძულვილი არ იცოდაო, ერთი მარტო გაუგებრობა რამ თუ შეამღვრევდაო. ადამიანებმა, ალბათ, ერთ რომელიღაც წამს ღმერთის მოციქულობა გადაწყვიტეს და ესოდენ აურაცხელი შეცდომაც იმიტომ ჩაიდინესო.

არადა ღმერთს არცრა ხელი არა აქვს ყოველივე ამასთან, ამ ადამიანისეულ შეცდომებთან.

როცა ბოლოს და ბოლოს ბრიდამ შესვლა გაბედა, ეკლესია ცარიელი იყო. ერთ ადგილას რამდენიმე სანთელი ენთო, რაც იმას მოწმობდა, რომ დილით ვიღაცას იმ ძალასთან თავისი კავშირის განსამტკიცებლად ეზრუნა, რომელი ძალის არსებობაც მხოლოდ წინასწარ თუ შეეძლო რომ ეგრძნო, – და ამგვარად გადაევლო ხილულსა და უხილავს შუა გადებული ხიდი. ბრიდა იდგა და ინანიებდა, სულ ახლახან გულში რაც გაევლო: იქნებ სრულად ახლა აქ არის ყოველივე ახსნილი და განმარტებულიო, იქნებ ადამიანები აქაც სარწმუნოების ღამის წყვდიადში იძირებიანო... და თავს ის ღმერთი დასცქეროდა, ჯვრის ძელზე ხელებგაშლილი, მეტისმეტად შეურაცხი, უბრალო რომ ეგონა.

და ამ ღმერთს ყმაწვილქალის მეოხება არ ძალედვა. არც ამას და არც ვინმე სხვას – ყმაწვილქალს თავად უნდა განეჩინა და გადაეწყვიტა თავისი გადასაწყვეტელი. და რისკი უნდა გაეწია, ვალდებული იყო, თუ არადა, უნდა ესწავლა მაინც რისკის გაწევა. თავისი ნიჭითა და უნარით ეს რას მოვიდოდა ჯვარცმულის ნიჭთან და უნართან – მან წინ-წინ იცოდა თავისი დაბედებული ხვედრის ამბავი, რამეთუ ძე იყო ღვთისა. და აროდეს არა ცდებოდა. არც სხვა სიყვარული არ უწყოდა, თვინიერ თავისი მამის სიყვარულისა. და ოდენ ის მოეთხოვებოდა, რომ გამოეჩინა თავისი სიბრძნე და ხელახლა ესწავლებინა კაცობრიობისთვის ზეცად აღმავალი გზით სიარული.

მერედა, ვითომ მარტო ეს მოეთხოვებოდა? ბრიდას საკვირაო სკოლა და კატეხიზმოს გაკვეთილი წამოაგონდა, ოდეს პატრი ნამეტანს ენამზეობდა. იმ გაკვეთილზე წმინდა წერილის იმ ნაწყვეტს განიხილავდნენ, სადაც ნაამბობია, ვითარ ევედრება სისხლად ოფლმდინარი იესო ღმერთს, თუ შესაძლოა, ეს ჩემთვის განკუთვნილი სასმისი ამარიდეო.

„უკეთუ იესომ უწყოდა, რომ ძე იყო ღმრთისა, მაშ, რაღატომ შესთხოვდა ამას? – კითხულობდა პატრი. – იმიტომ რომ მან ეს მხოლოდ გულით უწყოდა. უკეთუ ის უცილოდ იქნებოდა ამაში დარწმუნებული, დაბედებული ხვედრი იმისი აზრს დაკარგავდა, რამეთუ იგი ამ შემთხვევაში სრულად არ გარდაიქმნებოდა ადამიანად, სრულად არ განკაცდებოდა. კაცად, ადამიანად ყოფნა კი ეჭვებით ტანჯვასა და ამ ეჭვების ძლევა-ძლევით მაინც საკუთარი გზის მიყოლას ნიშნავს".

ბრიდამ ისევ შეხედა ჯვარცმას და სიცოცხლეში პირველად იგრძნო, რომ იესო უფრო ახლობელი გაუხდა: იქნება ამასაც მარტოობა ტანჯავდა, მოახლოებული და გარდაუვალი სიკვდილი აშინებდა და მამას ევედრებოდა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად დამიტევეო?" და უკეთუ ამას ამბობდა, მაშასადამე, ბოლომდე არ ეჯერა, რასაც იქმოდა. მაინც გაბედა – ღამის წყვდიადში ანდედ ჩაიძირა და, როგორც ყველა ადამიანმა დედამიწის ზურგზე, ამანაც იცოდა, რომ პასუხს მხოლოდ მაშინ შეიტყობდა, როცა თავისი წამოწყებული საქმის ბოლოში გავიდოდა. ალბათ, ამასაც სული და გული ეროდა, ოდეს დედ-მამასა და თავის საგაზრდილო პატარა ქალაქს ეთხოვებოდა და იდუმალი რამ კანონის საძებნელად მიდიოდა.

და რახან ამან ეს ყოველივე გამოიარა, მაშასადამე, სიყვარულის შეცნობაც მოუწევდა, თუმცაღა სახარება არცრა სიტყვას არ ამბობს ამის თაობაზე, რამეთუ ადამიანის სიყვარული ადამიანის მიმართ გასაგებად უფრო ძნელი რამ არის, ვიდრე სიყვარული უზენაესის მიმართ. და ბრიდას უცებ გაახსენდა, რომ იესო თავისი მკვდრეთით აღდგომის შემდგომ პირველად ქალს შეხვდა, რომელიც ბოლომდე აღარ მოშორებია.

**ქართულად გადმოაენა**
**გურამ გოგიაშვილმა.**

**(გაგრძელება იქნება)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 152-166, 168-169, 171-172, 176-177, 180-181, 184-186.

წყალბურთი

# ლენტროფს „ოლიმპი“ მასპინძლობს

**საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ დღეს დაიწყება და 10 ოქტომბერს დამთავრდება წყალბურთელთა ლენტროფის გათამაშების პირველი რაუნდი. A ჯგუფში წრიული სისტემით ექვსი გუნდი დაუპირისპირდება ერთმანეთს. ესენია: „ლიგამუსი-თბილისი“, იტალიის „პოსილიპო“, უნგრეთის „ჰონვედი“, საფრანგეთის „ოლიმპიკი“, თურქეთის ენკა და ისრაელის ასა.**



წყალბურთში ლენტროფი ევროლიგის შემდეგ კონტინენტზე რანგით მეორე საკლუბო ტურნირია, რომელშიც საკმაოდ ძლიერი გუნდები მონაწილეობენ. მაგალითად, ევროლიგის სამგზის გამარჯვებული ნეაპოლის „პოსილიპო“ ლენტროფს ხუთჯერ ფლობდა, სუპერთასიც მოუგია. ასევე წარმატებული გუნდებია „ჰონვედი“ და „ოლიმპიკი“. ასეთ თანავარსკვლავედში, ქართული წყალბურთის ისტორიაში პირველად, ითამაშებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის მერიის საწყლოსნო კლუბების გაერთიანებული გუნდი „ლიგამუსი-თბილისი“, რომელიც მომდევნო რაუნდში გასასვლელად იბრძოლებს. საამისოდ კი ჯგუფის პირველ ოთხეულში მოხვედრაა აუცილებელი. მეორე ეტაპი 22-26 ოქტომბერს გაიმართება.

**გაუწყებთ თბილისის საკვალიფიკაციო ჯგუფის თამაშების კალენდარს:**

**7 ოქტომბერი, ხუთშაბათი.**

**15.30.** „ჰონვედი“ ბუდაპეშტი (უნგრეთიძ – „ოლიმპიკი“ ნიცა (საფრანგეთიძ.

**17.00.** პოსილიპო“ ნეაპოლი (იტალიაძ – ენკა სტამბოლი (თურქეთიძ.

18.30. „ლიგამუსი-თბილისი“ (საქართველოძ – ასა თელავივი (ისრაელიძ.

**8 ოქტომბერი. პარასკევი**

**9.30.** „პოსილიპო“ – „ოლიმპიკი“,

**11.00.** „ჰონვედი“ – ასა,

**12.30.** „ლიგამუსი-თბილისი“ – ენკა.

**15.30.** „პოსილიპო“ – ასა.

**17.00.** ენკა – „ოლიმპიკი“,

**18.30.** „ლიგამუსი-თბილისი“ – „ჰონვედი“.

**9 ოქტომბერი, შაბათი**

**15.30.** ენკა – ასა.

**17.00.** „ჰონვედი“ – „პოსილიპო“.

**18.30.** „ლიგამუსი-თბილისი“ – „ოლიმპიკი“.

**10 ოქტომბერი, კვირა**

**10.30.** „ჰონვედი“ – ენკა.

**12.00.** „ოლიმპიკი“ – ასა.

**13.30.** „ლიგამუსი-თბილისი“ – „პოსილიპო“.

**ლექსო ცინცაძე**

ძიუდო

# დებიუტი – როტერდამში

**საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნულ ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი რომ ჰყავს, ამის შესახებ კარგა ხანია, გაუწყეთ. და აი, ატლანტის ოლიმპიადის პრიზიორ სოსო ლიპარტელიანს ახალ ამპლუაში დებიუტი 15-17 ოქტომბერს ექნება:** ჩვენი ქვეყნის ნაკრები როტერდამში „დიდ პრიზზე“ იასპარეზებს. საქართველოს სპორტულ ღირსებას დავით ასუმბანი, ამირან პაპინაშვილი (ორივე – 60ძ, შალვა ქარდავა, უჩა ხუციშვილი (66ძ, ზაზა კედელაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი (73ძ, ლევან წიკლაური, იოსებ წელაური (81ძ, ვალერი ლიპარტელიანი (90ძ, დავით ლორიაშვილი (100ძ და ადამ ოქრუაშვილი (+100ძ დაიცავენ. როგორც ვხედავთ, ლიპარტელიანი ძველ შემადგენლობას დაეყრდნო. ცხადია, ერთი ხელის მოსმით საკადრო ცვლილებები წარმოუდგენელია. ეტყობა, მთავარი მწვრთნელი ეროვნულ ჩემპიონატს ელოდება.



**ლაშა დიდია**

სუმო

# გორგაძე იაპონიაში მეორეა



**ტოკიოში ოლიმპიური სისტემით გაიმართა სუმოისტთა იაპონიის ჩემპიონატი, რომელშიც უძლიერესმა სპორტსმენებმა მიიღეს მონაწილეობა.** ჩვენებურთაგან განსაკუთრებით ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინიძ იყოჩაღა. ზედიზედ სამი მეტოქის დამარცხების შემდეგ ნახევარფინალში კოტოოშუს სძლია, ფინალში კი ბარუტოს შეხდა, რომელიც ბაშოებზე მისთვის უხერხული მეტოქეა. ესტონელმა გოლიათმა ამჯერადაც აჯობა ჩვენებურს და პირველი ადგილი დაიკავა. გორგაძე ვიცეჩემპიონობას დასჯერდა.

ჭადრაკი

# ქართული დესანტი ჯერმუკში



**სომხეთის საკურორტო ქალაქ ჯერმუკში დაიწყო კარენ ასრიანის მესამე მემორიალი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 64 მოჭადრაკე მონაწილეობს, მათ შორის 8 – საქართველოდან.** პირველ ტურში დიდოსტატებმა – კონსტანტინე შანავამ, მაია ლომინეიშვილმა, სოფიო გვეტაძემ, ნაზი პაიკიძემ, სოფიო გურამიშვილმა, გიორგი ბაღათუროვმა და საერთაშორისო ოსტატმა დავით მაღალაშვილმა წარმატებას მიაღწიეს, ნინო იმნაძე კი მეტოქეს ყაიმზე შეუთანხმდა.

ხელბურთი

# პირველად საქართველოში

**რაც დრო გადის, სულ უფრო პოპულარული ხდება შეჯიბრებები ქვიშაზე: პლაჟის ფრენბურთი, ფეხბურთი, რაგბი... ახლა მათს რიგს ხელბურთიც შეუერთდა.** ამას წინათ ბათუმში ბულვარის მოედანზე საქართველოში პირველად გაიმართა ტურნირი ქვიშის ხელბურთში ქალთა შორის. ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს და აჭარის ხელბურთის ფედერაციები და ბათუმის საკრებულო. სადებიუტო ტურნირი თბილისელმა გოგონებმა მოიგეს, რომლებმაც მასპინძლებსა და ფოთელებს აჯობეს.




ინტერნეტიდან

## პრეზიდენტმა ფეხბურთელები დააჯილდოვა

**გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრებმა 2010 წლის სამხრეთ აფრიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, ინგლისელებსა და არგენტინელებს დიდი ანგარიშით აჯობა, ნახევარფინალში კი მომავალ ჩემპიონ ესპანეთთან დამარცხდა.** მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ურუგვაელებს 3:2 სძლია. ამ წარმატებისთვის გერმანიის პრეზიდენტმა კრისტიან ვულფმა მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორებს პრესტიჟული სპორტული ჯილდო „ვერცხლის დაფნის ფოთოლი“ გადასცა, მთავარ მწვრთნელ იოახიმ ლიოვს კი „ორდენი დამსახურებისთვის“ ერგო.



## ისინბაევამ დისერტაცია დაიცვა



**ჭოკით ხტომაში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მრავალგზის მსოფლიო რეკორდსმენმა ელენა ისინბაევამ ვოლგოგრადის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო აკადემიაში დისერტაცია დაიცვა და პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა.**

## 24 მილიონს გადააჭარბა

**ჩოგბურთში ავსტრალიის ღია პირველობაზე წლეულს 21,15 მილიონი დოლარი დარიგდა. შვეიცარიელ როჯერ ფედერერსა და ამერიკელ სერენა უილიამსს 1,86-1,86 მილიონი დოლარი ერგოთ.** გაისად საპრიზო ფონდი 3,8 პროცენტით გაიზრდება. როგორც ტურნირის დირექტორმა კრეიგ ტაილიმ განაცხადა, 2011 წლის შეჯიბრებისთვის 24,2 მილიონი დოლარია გათვალისწინებული. გამარჯვებულები 2,1-2,1 დოლარს მიიღებენ. „დიდი სლემის“ ტურნირების ისტორიაში ეს ყველაზე სოლიდური საპრიზო ფონდი იქნება (უიმბლდონზე 21,7 მილიონი, როლან გაროსზე – 22,1 მილიონი და აშშ-ს ღია პირველობაზე 22,6 მილიონი დოლარი ნაწილდებაძ.

## თოვლის დედოფალმა მათეუსი მოხიბლა

**ბულგარეთის ეროვნული ნაკრების ახალი მწვრთნელი ლოთარ მათეუსი ისლანდიელმა მოდელმა ასდის რანმა მოხიბლა. იმის მიუხედავად, რომ კუნძულელი ქალბატონი გათხოვილია და სამი შვილი ჰყავს, მათეუსმა მისი მობილური ტელეფონის ნომერი ჩაიგდო ხელთ.**



ასდისი გარდარ გუნლაუგსონის მეუღლეა. ისლანდიელი ფეხბურთელი კარგა ხანს ბულგარეთში თამაშობდა, მერე გერმანიაში გადაბარგდა, ცოლი კი სოფიაში დარჩა და ქვეყნის ერთ-ერთ სექსუალურ ქალად მიიჩნევენ. როგორც ცნობილი გახდა, თოვლის დედოფალმა (ასე უწოდებენ ლამაზმანსძ ისე დაატყვევა გერმანელი მწვრთნელი, რომ მათეუსი მზად არის, მისი გული დაიპყროს.

ჩვენი ყოფა

# გაუკუღმართებული წუთისოფელი

**ამჟამად რვამარტელი დემურ მუხურაძეს, მეზობლების თხოვნით, სოფლის მთავარ მაგისტრალთან შემაერთებელი გზის მეთვალყურეობა რომ დაავალეს, სწორედ იქ ეწვია მწვავე ინსულტი. უფრო ადრე ნაინფარქტალისთვის ეს საბედისწერო იყო.** საბედნიეროდ, სასწრაფო დახმარების მანქანა დროზე მოვიდა და ხაშურის საავადმყოფოში გააქანეს. ექიმმა სვეტა მინასიანმა ავადმყოფს თავიდან მზრუნველობა არ მოაკლო, პალატაში დააწვინა (სხვათა შორის, ეს საავადმყოფო ისეთ მძიმე მდგომარეობაში ყოფილა, თავმოყვარე კაცი შიგ პირუტყვს არ შეუშვებს...ძ მკურნალობაც რიგიანად მიმდინარეობდა. შემდეგ კი საავადმყოფოს სადაზღვევო კომპანია „აისი“ ჯგუფის პოლისი რომ წარუდგინეს, ვითარება მკვეთრად შეიცვალა. მეხუთე დღეს ჯერ ისევ მწვავე ტკივილებით შეწუხებული ავადმყოფი ჰაიჰარად გამოწერეს, აქაოდა, პოლისი ამოიწურაო. არადა, გზაზე ისევ ცუდად გახდა, მაგრამ უკან შებრუნებული ავადმყოფი არ მიიღეს და ახლა მძიმე სნეული სახლში წევს.

დემურ მუხურაძე ფრიად დამსახურებული მშენებელია, ათეული წლების მანძილზე რუსთავის ერთ-ერთი სამშენებლო ორგანიზაციის №9 სამშენებლო სარემონტო სამმართველოს ხელმძღვანელობდა. მაგრამ ქვეყანაში შექმნილი მწვავე ვითარების ჟამს ეს ორგანიზაცია განადგურდა. პატიოსანი მშენებელი ულუკმაპუროდ დარჩა და მშობლიურ სოფელს რვა მარტს მიაშურა.

— დახმარების პოლისი კი მომცეს, მაგრამ მე არაფერში წამადგა. ამაზე დიდი უბედურება რა უნდა დამმართვოდა, — შემომჩივლა ხელისუფლებისგან უპატრონოდ მიტოვებულმა მძიმე ავადმყოფმა.

ლამაზად გაფორმებულ პოლისს მეც ბევრი ვუტრიალე, თანხები კი წერია, თხუთმეტი ათასი, ათი ათასი, მაგრამ ავადმყოფს როგორ უნდა მოხმარდეს ეს, ვერაფრით გავიგე. საინტერესოა, შესაბამისი სამინისტროს მესვეურები რას ეტყვიან ხაშურის საავადმყოფოს ხელმძღვანელობას?

**გივი ჯახუა**

**P. S. გაუკუღმართებულია ჩვენი დღევანდელობა. უპრობლემოდ ნაბიჯსაც ვერ გადადგამ. მე და ჩემმა ძმამ ხაშურში მიმავალი მატარებლის გასვლის წინ სურსათ-სანოვაგის მომარაგება გადავწყვიტეთ. ადრე ბორჯომის ბაქნის მიმდებარე ტერიტორია გარე მოვაჭრეებით იყო სავსე. რაც გინდოდა, ყველაფერს შეიძენდი, თანაც შედარებით იაფად. ახლა მინიატიურული დახურული ბაზარი გაუშენებიათ, სადაც ყველაფერს ცეცხლი უკიდია. დახლთან მდგომ სოფლიდან ჩამოსულ ქალბატონს შევევაჭრეთ. კიტრი ძალიან ძვირი დაგვიფასა. რომ გავიკვირვეთ, რა ამბავიაო, თხუთმეტლარიანი ქვითარი აგვიფრიალა, რა ვქნა, სახლში წასასვლელ გზის ფულსაც ვერ ვიშოვი და აქ მეორედ მომსვლელი არა ვარო.**

**გ. ჯ.**

ახლახან გამოიცა

# სანამ დაზამთრდება...

**დიდი ფრანგული ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშებს სწორედაც რომ ღირსი თარგმანებით კარგა ხანია ეცნობა ქართველი მკითხველი.**

და აი, ახლახან, **ნანი თარხნიშვილისეულ** თარგმანებსაც გავეცანით, რომელთა ავ-კარგსაც სპეციალისტები შეაფასებენ და, რომლებიც მთარგმნელს **„ერთტომეულში“** მოუქცევია თავის შესანიშნავ ნოველებთან, ეტიუდებსა და ლექსებთან ერთად.

აქ წაიკითხავთ ფრანსუა მორიაკის რომანს „გზა უგზოობისა“, „რომენ როლანის მოთხრობას „პიერი და ლუსი“, პიერ გამარას, სტეფან მალარმეს ნაწარმოებებს... აქვე ამ ავტორთა შემოქმედებასაც განიხილავს ქალბატონი ნანი...

ერთტომეულს **„დაზამთრებამდე“** ჰქვია, „ეროვნულ მწერლობას“ გამოუცია და ბატონ ვაჟა ოთარაშვილის წინასიტყვაობაც უძღვის: „მწამს, ქართველი მკითხველი გულთბილად შეხვდება ქალბატონ ნანი თარხნიშვილის კეთილშობილურ ნალვაწს“, — ამბობს იგი და ჩვენც, ცხადია, ამას ვისურვებდით.




**ვილენ მარდალეიშვილი**

ჩვენი კარაბადინი

# დავიცვათ თავი გრიპის ეპიდემიისგან

**საუბარი მოსკოვის ჯანდაცვის საბითუმო ფასების სააფთიაქო ქსელის ხელმძღვანელ თემურ შაკაიასთან**

**— ბატონო თემურ, გვითხარით, თუ შეიძლება, რას წარმოადგენს ქალაქის ჯანდაცვის საბითუმო ფასების სააფთიაქო ქსელი?**

— ეს არის აფთიაქები, სადაც ყველას შეუძლია შეისყიდოს მისთვის საჭირო წამალი საბითუმო ფასად ცალებში. სხვა აფთიაქების თანამშრომლებიც კი ჩვენთან ყიდულობენ წამლებს. წამლებს გარდა ჩვენთან ტონომეტრებისა და გლუკომეტრების დიდი არჩევანიცაა, ასევე საბითუმო ფასად.

**— გვიამბეთ, როგორ დავიცვათ თავი და ჩვენი ახლობლები გრიპის ეპიდემიისგან?**

— დღეისთვის ავადმყოფობის სიმპტომების მოხსნისთვის წამლების ძალიან დიდი რაოდენობაა. მაგრამ ისინი აბსოლუტურად უსარგებლოა დაავადების თავიდან ასაცილებლად!

**— მაშ როგორ დავიცვათ თავი? და გვაპატიეთ პიროვნული შეკითხვის გამო — რითი იცავს თავს გრიპისგან თქვენი ოჯახი?**

— არის ერთი პრეპარატი, რომელმაც აჩვენა თავისი მაღალი ეფექტიანობა, თუმცა ის გათვალისწინებულია კიდევ უფრო სერიოზული დაავადებებისათვის.

**— რა ჰქვია მას?**

— ეს არის „ზვიგენის ზეთი“ — კატრანის ღვიძლის 100-პროცენტიანი ნაჟური! მას ყურადღება მივაქციე კრემლის აფთიაქის ხელმძღვანელის საუბრის შემდეგ. ზვიგენის ღვიძლში ალკოქსიდიგლიცერიდებისა და სკვალენის შემცველობის წყალობით, ზვიგენს არანაირი ავადმყოფობა არ ხვდება. მეცნიერებმა ვერ შეძლეს ზვიგენის კიბოს უჯრედებით დასნებოვნებაც კი. ალკოქსიდიგლიცერიდები ძალიან ახლოს არიან ჩვენს ორგანიზმთან. მათ ჩვენ შევიწოვდით დედის რძესთან ერთად, ისინი გვიცავდნენ ვირუსებისგან და დაავადებებისგან, აყალიბებდნენ ჩვენს იმუნიტეტს. ამიტომ თუ თქვენ მართლა გაინტერესებთ დაცვა გრიპის ვირუსებისგან — ეს სწორედ „ზვიგენის ზეთია“.

**— ის მხოლოდ თქვენს აფთიაქებში იყიდება?**

— როგორ გეკადრებათ, ზუსტად ვიცი, იგი ბევრ სხვა აფთიაქშიცაა, თუმცა მალე მთავრდება. ხალხმა ის შეამოწმა ჯერ კიდევ შარშანდელი ეპიდემიის დროს. პრეპარატი იმდენად ძლიერია, რომ იმუნიტეტის 50-ზე მეტი ფაქტორის გამოყოფის გააქტივებით ანადგურებს ვირუსებს! ამიტომ მოიპოვა უდიდესი პოპულარობა იმათ შორის, ვისაც ჰერპესომი აწუხებს. ერთ-ერთი ჩემი ნაცნობი ქალი ჰ ერპესთან ბრძოლის დასაჩქარებლად, არა მხოლოდ სვამდა მას, არამედ შეჰყავდა კიდეც უმცირესი მზისფერი კაფსულები სხეულში და ისვამდა ტუჩების მტკივნეულ ადგილებზეც. ამბობს, რომ ასე სწრაფად არც ერთი დაავადება არ უქრებოდა მას. წელს კი მისი მიღება პირველი სექტემბრიდან დაიწყო.

**— თქვენი თანამშრომლები როგორღა იცავენ თავს გრიპისგან?**

— ჩვენს აფთიაქებში დაყენებულია სპეციალური კვარცის ლამპები, ისინი ამუშავებენ ჰაერს ინფექციისგან გასაწმენდად, რაც გამორიცხავს დაავადების შესაძლებლობას. მაგრამ ჩვენი თანამშრომლები მაინც სვამენ „ზვიგენის ზეთს“ — სამსახურამდე ხომ ტრანსპორტით უნდა მიხვიდე. აფთიაქებში მალე გამოჩნდება აგრეთვე ქაფი ხელების გაწმენდისა და დეზინფექციისთვის. სხვა საშუალებებისგან განსხვავებით, მასში არაა სპირტი, არის მხოლოდ გვირილა და ალოე. მაშასადამე, კლავს მიკრობებს და არა თქვენს ხელს.

**— რატომ არის თქვენს აფთიაქებში ასეთი გრძელი რიგები?**

— ყველაფერი მარტივია — ხალხს ჭკუა არ აკლია და ურჩევნია ცოტა გადაიხადოს. რა საჭიროა გადაიხადო ერთნახევარჯერ-ორჯერ მეტი, თუ შეიძლება მოხვიდე ჩვენთან აფთიაქში და ყველაფერი შეიძინო საბითუმო ფასებში? ჩვენი თითქმის ყველა აფთიაქი მეტროს გვერდითაა.

**— ახალგაზრდობისთვის რა არის თქვენთან საინტერესო?**

— ჩვენთან ვიტამინების, სამკურნალო კოსმეტიკის და სხვა მარკების დიდი არჩევანია.

**— ბატონო თემურ, რომელი წამლები უნდა მიიღოს იმ ხალხმა, ვისაც აქვს გულის დაავადებებისადმი მიდრეკილება?**

— ეს მკურნალმა ექიმმა უნდა გამოუწეროს... ერთადერთი, რაც მე შემიძლია ვურჩიო ნაცნობებსა და ნათესავებს — ეს არის ყოველთვის მიიღონ სამკურნალო ბალახების, მიკროელემენტებისა და ვიტამინების მთლიანად ნატურალური კომპლექსი, რომელთა უკმარისობასაც ორგანიზმში მივყავართ გულ-სისხლძარღვთა და ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებებთან. მას „კარდიოლა“ ეწოდება, იგი ამაგრებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციურ მდგომარეობას, ასუფთავებს ორგანიზმს ქოლესტერინისგან. შედეგად კი — გვიცავს ინფარქტებისა და ინსულტებისგან.

**— როგორ დავიცვათ სისხლძარღვები გრიპის გართულებისგან?**

— გულის გარდა, გრიპი ხშირად გართულებას იძლევა სისხლძარღვებზეც. საუკეთესო ბუნებრივი პრეპარატი სისხლძარღვთა დასაცავად — ეს არის „არტრიზამინი“, 10-კომპონენტიანი „სამშენებლო“ მასალა ხერხემლისა და სისხლძარღვთა აღდგენისა და დაცვისთვის. ის დაამუშავეს შვეიცარიის ჰომეოპათიკური იმუნოლოგიისა და ინჟინერული იმუნოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტების ექსპერტებმა. მისი ინგრედიენტები ხელს უწყობენ შარდის მჟავის გამოყვანას სისხლძარღვებიდან, აწესრიგებენ მისი სითხის პროდუქციას. „არტრიზამინი“ ახდენს ამინოგლიკების ბიოსინთეზის სტიმულირებას, ხელს უწყობს ხრტილის ზედაპირის აღდგენას. უმჯობესდება მათი მოძრაობა.

**— როგორ გავიუმჯობესოთ განწყობილება მოსაწყენ ყოველდღიურობაში? ირგვლივ ხომ ყველაფერი ასე მჭმუნვარეა.**

— ჩვეულებრივად ასეთი განწყობილება დაკავშირებულია არა გარე სამყაროსთან, არამედ იოდის უკმარისობასთან ორგანიზმში! სწორედ იოდის დეფიციტი აიძულებს ფარისებრ ჯირკვალს გაგვიფუჭოს განწყობილება.

**— ახლა ბევრია იოდის შემცველი პრეპარატი — რომელი მათგანი ავირჩიოთ?**

— სამწუხაროდ, პრეპარატების უმრავლესობაში არის ქიმიური იოდი, რომელსაც მოიპოვებენ ნავთობის ბურღობის ზედაპირზე. ამიტომ მნიშვნელობა აქვს შესათვისებელ ნატურალურ იოდს ზღვის წყალმცენარეებისა და ზღვის პროდუქტებისგან. ასეთი იოდი არის პრეპარატ „იოდნიკში“. მიიღეთ იგი რეგულარულად, და განწყობილება გაგიხდებათ, როგორც პლაჟზე, მეხსიერებაც გაგიუმჯობესდებათ.

**— და როგორ დავიმახსოვროთ ეს ყოველივე?**

— სულ უბრალოდ — მე ჩვეულებრივად ვიღებ მაკრატელს და ვჭრი ყველაფერს, რაც მჭირდება და ვინახავ როგორც „შპარგალკას“. ხალხი ხშირად მოდის ჩვენთან აფთიაქში და გვთხოვენ შევუკვეთოთ წამლები, რომლებიც ამოჭრილია საინტერესო გაზეთებიდან.







ინფორმაცია

## ოკუპანტები ქართველებს ისევ აპატიმრებენ

ახალგორის რაიონის სოფელ ახმაჯში რუსმა ოკუპანტებმა საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს. „რესის“ ინფორმაციით, საქართველოს ორი მოქალაქე რუსმა მესაზღვრეებმა 5 ოქტომბერს ე.წ. საზღვრის გადაკვეთის დროს აიყვანეს, რომელთაც თან არანაირი პირადი საბუთი არ გააჩნდათ.

სააგენტოს ინფორმაციით, სოფელ არცევში 4 ოქტომბერს დააკავეს საქართველოს ერთი მოქალაქე, რომელსაც ასევე თან არ ჰქონდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

დაკავებულები რუსმა ოკუპანტებმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამსახურს უკვე გადასცეს.

## დააკავეს განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილი

გურიის სამხარეო შ.ს. მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილი გიორგი ღაჟონია დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგენილია, რომ 2010 წლის 2 ოქტომბერს ოზურგეთის რაიონის სოფელ დვაბზუში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე წარმოშობილი ჩხუბის დროს გიორგი ღაჟონიამ ცივი იარაღის გამოყენებით გულმკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა 1982 წელს დაბადებულ რამაზ ჩუბინიძეს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

ასევე თავის ზურგისა და ხელის არეში, ჭრილობები მიაყენა, გარდაცვლილის ბიძაშვილს 1990 წელს დაბადებულ ზურაბ ჩუბინიძეს, რის შედეგადაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გატარებული ოპერატიულ სამძებრო ღონისძიების შედეგად ეჭვმიტანილი დააკავეს შემთხვევიდან მეორე დღეს, სოფელ ნასაკირალში.

გამოძიებას გურიის შ.ს. სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს 7-15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

ХО-ЕОВ-ЕНО

### ⦿ დაიჯესტი

# სიმღერები მაფიოზებისთვის

**იტალიელმა სამართალდამცველებმა მაფიოზების კავშირგაბმულობის მეტად უჩვეულო არხი გადაკეტეს.**

სექტემბრიდან მოყოლებული აპენინების ნახევარკუნძულზე მეტად პოპულარული ტელეგადაცემის „ისინი, ვინც ფეხბურთს თამაშობენ“ მაყურებლები ერთმანეთთან ტელეტექსტების მეშვეობით ურთიერთობის შესაძლებლობას მოკლებულნი არიან. სამართალდამცველებმა დაადგინეს, რომ, ფეხბურთის მოყვარულთა გარდა, 2000 წლიდან შემოღებული მომსახურების ამ სახეობით ასევე ორგანიზებული დანაშაულის წარმომადგენლებიც სარგებლობდნენ. პროკურორ ვინჩენცო მაკრის განცხადებით, ტელეშოუს დროს მაფიოზები SMS-ს შეტყობინებებით საჭირო ინფორმაციას ციხეებში მსხდომ თავიანთი კლანების ნათლიებს გადასცემდნენ. სინიორ მაკრიმ ჟურნალისტებს რამდენიმე მაგალითიც დაუსახელა. კერძოდ, ერთი შეხედვით სავსებით უწყინარი შეტყობინება „ჩაო, ფრანკო, მშვიდობით ვიმგზავრე!“, რომელიც თითქოსდა ფეხბურთის ერთმა გულშემატკივარმა მეორეს გადასცა, სინამდვილეში იმას ნიშნავდა, რომ ნარკოტიკი დანიშნულების ადგილზე უპრობლემოდ მიიტანეს, ხოლო SMS-ი „პაოლო, ყველაფერი რიგზეა“ იმის მაუწყებელი იყო, რომ დავალება შესრულებულია.



რა თქმა უნდა, პროდიუსერებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ იმის შესახებ, რომ მათ გადაცემას კრიმინალური სამყარო იყენებდა. ისინი ასობით ასეთივე „არაფრისმთქმელ“ გზავნილებს ილებდნენ და შემდეგ ღია ეთერით გადასცემდნენ, ხოლო შემოწმება მხოლოდ უცენზურო ლექსიკაზე კონტროლით შემოიფარგლებოდა. ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან აბა, რა შარი უნდა მოსდო შეტყობინებას კეთილად მგზავრობის თაობაზე, ანდა სასიყვარულო გზავნილს?

კავშირგაბმულობის ორიგინალური სისტემის გამოაშკარავება მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც ზედამხედველებს ერთ-ერთი პატიმრის სახელზე გარედან შეგზავნილი წერილი ჩაუვარდათ ხელში, რომელშიც მხოლოდ კვირის საფეხბურთო მატჩის ცქერის დაჟინებული თხოვნა იყო. სხვათა შორის, ამის შემდეგ პატიმრებს შესაძლოა SMS-იანი ტელეგადაცემების ცქერა აუკრძალონ.

უნდა ითქვას, რომ თანამზრახველებთან კონტაქტის დასამყარებლად მაფიოზები ათასგვარ ხრიკს მიმართავენ. მაგალითად, 1998 წელს პალერმოში (სიცილიაძ პოლიციამ გამოააშკარავა დაშიფრული მისალოცი ბარათებით შენიღბული მაფიოზური კავშირგაბმულობის არხი. გარდა ამისა, პატიმრები ახლობლებთან პაემნებზე ბავშვების მოხვევისას მათ ჯიბეებში შეუმჩნევლად ბარათებს უდებენ. მაგრამ ყველაზე მასშტაბური პროექტი მაინც კალაბრიის პროვინციის მაფიამ, ნდრაგეტამ განახორციელა, რომელმაც... რადიოსადგური იყიდა (!ძ, რომელიც მხოლოდ პატიმრებისთვის დაშიფრული გზავნილების შემცველ... სიმღერებს გადასცემდა!!

მოამზადა **ოთარ ტურაბელიძემ**

**რეკლამა** **გ. ახვლედიანის ქ. №19.**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8064 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4585 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8545 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9415 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9852 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2504 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2827 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2412 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7014 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +13 – +17 |
| ქუთაისი. | +14 – +20 |
| ბათუმი. | +11 – +14 |
| ზუგდიდი. | +12 – +15 |
| თელავი. | +12 – +15 |

### ⦿ ანეკდოტები

პოლიციაში გაკაპასებული ქალი შევარდა და გამომძიებელს უხსნის:

– ლიფტში ვიღაცა კაცმა ფული წამართვა!

– სად გქონდათ ფული! – ეკითხება გამომძიებელი.

– ლიფში!

– მერე რატომ არ შეეწინააღმდეგე?

– მეგონა, კეთილი ზრახვები ჰქონდა.

* * *

– თქვენი პირველი მეუღლე კარგი კაცი იყო, რა დასანანია, ასე უდროოდ რომ გარდაიცვალა.

– ჩემი მეორე მეუღლეც მაგასვე ამბობს.

* * *

მღვდელი დაქვრივებული ქალის დამშვიდებას ცდილობს:

– ნუ იდარდებ, შვილო ჩემო, შენი ქმარი ზეცაში გელოდება!..

– მაგიტომაც ვწუხვარ, მამაო... იქ უკვე სამი ეგეთი მელოდება!

* * *

მისალებ გამოცდაზე სტუდენტი მიმართავს ზემოიმერული აქცენტით კახელ პროფესორს:

– ერთი ბილეთი, კიდევ შეიძლება ავილო?

– შეიძლება ახალგაზრდავ, ოღონდ რკინიგზის სალაროში.

* * *



დედა სახლს ალაგებს და შვილს ეუბნება:

– გოკა, სამი ნაყინის ფულს მოგცემ, თუ ერთ საათს პიანინოზე დაუკრავ!

– ცოტაა, დედიკო, მეზობელი ხუთ ნაყინს მპირდება, დღეს საერთოდ პიანინოს თუ არ მივეკარები...

### ⦿ დღის კალენდარი

## 7 ოქტომბერი

**ხსენება მოციქულთა სწორის, პირველმოწამე თეკლასი (Iძ, ღირსი კოპრესი (530ძ, წმიდა ვლადისლავ სერბიელისა (1239ძ.**



ამოდის 06.04
ჩადის 17.33



ამოდის 05.29
ჩადის 16.57

## დაიბადნენ:

**1885 – ნილს ბორი,** დანიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი, გარდაიცვალა 1962 წელს.

**1931 – დესმონდ ტუტუ,** სამხრეთ აფრიკელი ეპისკოპოსი, აპარტეიდთან ბრძოლის ერთ-ერთი ლიდერი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**1952 – ვლადიმირ პუტინი,** რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი.

**1971 – დავით დოიაშვილი,** თეატრალური რეჟისორი.

## გარდაიცვალნენ:

**1488 – ანდრეა დელ ვეროკიო,** ფლორენციელი მოქანდაკე.

**1849 – ედგარ ალან პო,** ამერიკელი მწერალი, დეტექტიური ჟანრის ფუძემდებელი.

## მოვლენები:

**3764 ჩვ.წ-მდე** – სამყაროს შექმნის თარიღი, საიდანაც ათვლას იწყებენ იუდეველები.

**1571** – საზღვაო ბრძოლა ლეპანტოსთან, ესპანეთ-ვენეციის ფლოტმა გაანადგურა ოსმანთა ფლოტილია. ამ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა დიდი ესპანელი მწერალი მიგელ დე სერვანტესი.

**1826** – ხელი მოეწერა აკერმანის კონვენციას რუსეთსა და ოსმალეთს შორის. რუსეთს გადაეცა სოხუმი, რედუტ-კალე (ყულევიძ და ანაკლია.

**1868** – აშშ-ში გაიხსნა კორნელის უნივერსიტეტი.

**1913** – ჰენრი ფორდმა აამოქმედა პირველი ამწყობი კონვეიერი.

**1928** – აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა ჰერბერტ ჰუვერმა.

**1951** – დავიდ ბენ-გურიონი ქმნის ისრაელის მთავრობას.

**1981** – მუჰამედ ჰოსნი სეიიდ მუბარაკი გახდა ეგვიპტის პრეზიდენტი.

**1988** – ლატვიის ეროვნული დროშა პირველად აფრიალდა რიგაში.

**1993** – ტონი მორისონი ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა ლიტერატურაში.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**არქიტექტურის მსოფლიო დღე.**

**იამაიკა** – ეროვნულ გმირთა დღე.

**ნამიბია** – კეთილი ნების დღე.

მედიანიუსი

**ი ყ ი დ ე ბ ა ს ა ს წ რ ა ფ ო დ !**

**ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ**
საუკეთესო ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე, გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

**აგარაკი ტაბახმელაში**
ულტრათანამედროვე სააგარაკო შენობა, ყველანაირად კეთილმოწყობილი, ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 899 24 17 71, 899 16 93 57.

### ⦿ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.